# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 29 აპრილი 2005 №95 (2418) ფასი 50 თეთრი




**კალაძეს ლონდონის გზა დაემოკლდა**

2



**პრემიერის ღიმილი**

**ჭორები ტოტის ტრანსფერის შესახებ**

7

ქართული რაგბილიგა

**აი, შანსი**

**ცამეტკაცას ჰორიზონტზე ევროპის მერთა თასი გამოუჩნდა**

13

# ყველაფერი ვიცი

## ალენ შირესმა ჯერ გლდანში ილაპარაკა



...საქართველოში ჩემზე რას ლაპარაკობენ, ყველაფერი ვიცი...

...უფლება მაქვს, თავი დავიცვა...

...მე ჟორდანიასთვის კი არა, საქართველოსთვის ვმუშაობ...

მე-3 გვერდი

# ეს არის თასი?

## ნახევარფინალს 7 ათასი დაესწრო



# უეფას თასი 2004-2005
# 1/2 ფინალი. პირველი მატჩები

## პარმა (იტალია) 0:0 ცსკა (რუსეთი)

პარმა: ბუჩი, კარდონე (ბონერა 61), პ. კანავარო, ბოვო, ი. კამარა, ფურლანი (პიზანუ 67), სავი, დესენა, ვინიაროლი, სორენტინო (ბოლანო 79), რუოპოლო
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
ცსკა: აკინფეევი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ოლიჩი (ლაიზანსი 84), შემბერასი, კრასიჩი (ვაგნერ ლავი 59), რახიმიჩი, ჟირკოვი, დანი კარვალიუ, ოდია
მწვრთნელი: ვალერი გაზაევი
გაფრთხილება: ბოვო, სავი, ვინიაროლი
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
7 298 მაყურებელი

## სპორტინგი (პორტუგალია) 2:1 ალკმაარი (ჰოლანდია)

0:1 ლანძაატი (36), 1:1 დუალა (37), 2:1 პინილია (80)
სპორტინგი: რიკარდუ, როჟერიუ (პინილია 69), ანდერსონ პოლგა, ენაკარხირე, რუი ჟორჟე, დუალა, როჩემბაკი (უგო ვიანა 61), ბარბოსა (მუტინიუ 46), კუშტუდიუ, ზა პინტუ, ლიდსონი
მწვრთნელი: ჟოზე პეშეირო
ალკმაარი: ტიმერი, ჯელინსი, ვლაარი, ბიუსკერმოლენი, დე კლერი, ა. რამზი, ლანძაატი ლინდენბერგი, ვან გალენი (სეკტიუ 79), ნელისე (ჰიუსგემსი 72), კ. პერესი
მწვრთნელი: კო ადრიანსე
გაფრთხილება: ვლაარი, ბიუსკერმოლენი, ლინდენბერგი, ანდერსონ პოლგა, პინილია
მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)
35 000 მაყურებელი

**ლისაბონში**, შეცვლაზე შესული მაურისიო პინილიას შორეული და ეფექტური დარტყმით მასპინძლებმა თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრელა გამოსტაცეს ხელიდან ჰოლანდიელებს სტუმრად თითქმის მიღწეული ფრე. და მაინც, ამთავითვე დაიწერა და ითქვა, რომ შემდეგ ხუთშაბათს, ალკმაარში უპირატესობა „სპორტინგისა“ არ იქნება. ასე მსჯელობის საბაბს კი ის იძლევა, რომ წუხელ სტუმრებმა, რომელთაც, სხვათა შორის, ტრავმების გამო საკმაოდ ბევრი წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ, პორტუგალიელები საკმაოდ აწვალეს.

უეფას თასის ორგზის მფლობელმა „პარმამ“ კი მოსკოვის ცსკასთან სათადარიგო შემადგენლობა ათამაშა — პარმელთა მწვრთნელს, პიეტრო კარმინიანის ეს უკვე ჩვეულებად ექცა. საინტერესოა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში ორივე გუნდის თავდამსხმელებმა ხეირიანად ერთი მომენტიც ვერ შექმნეს. მყუდროება ერთადერთხელ, 82-ე წუთზე დაირღვა, როდესაც მასპინძელთა თავდამსხმელმა ფაბიო ვინიაროლიმ რუს მეკარე იგორ აკინფეევს სიფხიზლე შეუმოწმა.

ცნობისთვის: მატჩს 7 298 პარმელი მოქალაქე ესწრებოდა.

**პაპუნა ძიძია**



პარმა — ცსკა. რუსმა ალექსეი ბერეზუცკიმ მასპინძელი ფილიპო სავი სარმითლა შეაჩერა



# ჩელსიმ მილანს მარცხნიდან შეუტია
## კალაძეს ლონდონის გზა დაუმოკლდა

**სიახლე:** იტალიის ჩემპიონი „მილანი“ ლონდონურ „ჩელსის“ არგენტინელი ერნან კრესპოს სანაცვლოდ ჩვენებურ კახა კალაძეს ოფიციალურად სთავაზობს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გუშინ ერთ-ერთმა იტალიურმა ვებ-გვერდმა იტალიელთა ინტერესი საჯაროდ გაახმაურა: თანახმა ვართ, კრესპოს სანაცვლოდ კალაძე დავთმოთო.

ახლა უფრო კონკრეტულად: მოგეხსენებათ, „უდინეზეს“ მარცხენაფლანგელი, ჩეხი მარეკ იანკულოვსკი ცალი ფეხით „მილანშია“ გადასული, ორივეთი კი დამდეგ ზაფხულს იქნება, როცა „შავ-წითლები“ უდინურ კლუბს 6 მილიონ ევროს ჩაუთვლიან. „მილან“-„უდინეზეს“ წინასწარ შეთანხმებაში ისიც წერია, რომ მილანელები იანკულოვსკის ხუთწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ და ჩეხს წლიურ ხელფასად 2,5 მილიონ ევროს დაუნიშნავენ.

რა გასაკვირია და, „ჩელსიმ“ აქაც წამოჰყო თავი — მარეკ იანკულოვსკი ჩვენც გვინდაო. ლონდონური კლუბის პატრონმა რომან აბრამოვიჩმა „უდინეზეს“ შეუთვალა, იანკულოვსკი მომყიდეთ და ტრანსფერში 8 მილიონს გადავიხდიო. აბრამოვიჩი თავად ჩეხსაც შეეხმიანა, „მილანში“ რა გინდა, „ჩელსიში“ გადმოდი, ხელფასად კი 3 მილიონ ევროს დაგინიშნავთო.

ჰოდა, აბრამოვიჩის სურვილი რომ გაიგო, ადრიანო გალიანიმ („მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა) ლონდონელებს იქით შეუთვალა, ძალიან გთხოვთ, იანკულოვსკის თავი დაანებოთ, ეგ ბიჭი ჩვენ გვინდა და, თუ ისურვებთ, ქართველ კალაძეს ზაფხულშივე გამოვუშვებთ „სტემფორდ ბრიჯზე“, კახა ზუსტად იმავე ამპლუის ფეხბურთელიაო.

„დიახ, ჩვენ გვინდა კრესპო და გვინდა იანკულოვსკიც“ — დასძენს ბოლოს გალიანი.

**გიორგი ვაშაკიძე**



მარეკ იანკულოვსკი



ერნან კრესპო

### იაპონია

**ჯეი ლიგა. VII ტური**

ნიიგატა 0:0 შიმიცუ
სერეზო 1:1 ჰიროშიმა
ტოკიო 0:2 კაშივა
იჩიჰარა 3:1 გამბა
ივატა 2:2 ურავა
კავაზაკი 2:1 იოკოჰამა
ნაგოია 5:4 ვერდი
ომია 3:1 ოიტა
კობე 0:2 კაშიმა

### ფინეთი

**ვეიკაუსლიგა**
**I ტური**

ჰაკა 1:0 კუოპიო
ჰიკ 2:0 ტპ-47
ინტერი 0:0 ალიანსი
კტპ 1:0 ტურკუ
ლაჰტი 1:4 მიუპა
მარიეჰამნი 1:0 როვანიემი
ტამპერე 3:0 იარო

### როიალ ლიგა 2005

**ნახევარფინალი**
**პირველი მატჩები**

კოპენჰაგენი (დანია) 2:1 მალმიო (შვედეთი)
ვოლერენგა (ნორვეგია) 1:0 ბრანი (ნორვეგია)

### გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩები**

ზანკტ პაული 0:1 ვერდერი (მ)
უნიონი 1:1 ძემნიცი

### ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ოსასუნა 3:2 ვილიარეალი

### სლოვენია

**თასის ნახევარფინალი**
**საპასუხო მატჩი**

*პუბლიკუმი* 3:1 მარიბორი (1:2)

### ამხანაგური მატჩი

მექსიკა 1:1 პოლონეთი

# ალენ ჟირესი: ყველაფერი ვიცი

## ვილაპარაკებ და თავს დავიცავ



[illegible] ფოტო

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი და მისი თანაშემწე გია გურული გუშინ გლდანში იყვნენ, პირველი ლიგის მატჩს „ამერი“ — „მაღაროელს“ დაესწრნენ და მუსიე ჟირესმა იქვე გვითხრა, ჩემ აქ არყოფნაში ჩემზე რამე-რუმეებს ლაპარაკობდნენ და საამისოდ დიახაც, მოვიცლიო...

**— ალბათ იცით, რომ თქვენი, როგორც საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ხელფასი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში განსჯის თემად იქცა..**

— ვფიქრობ, მეც უნდა მქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ პრესასთან ვილაპარაკო და თავი დავიცვა. ამ თემაზე სალაპარაკოდ მომავალ კვირაში პრესკონფერენციას მოვაწყობ. იმასაც ვუცდი, თუ რა განაჩენს გამოგვიტანს ფიფა ნაკრების წინა მატჩებზე მომხდარი ინციდენტების გამო.

**— თურქეთ-საბერძნეთთან მატჩების შემდეგ გვითხარით, მე უფრო კარგად გიცნობთ თქვენ, ვიდრე თქვენ მე. ახლაც ამავე აზრის ხართ?**

— შესაძლოა, ამ მხრივ სიტუაცია გათანაბრდეს და თქვენც ისე გამიცნობთ, როგორც მე საერთოდ მიცნობენ.

**— გამოდის, თქვენი ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ეს არის..**

— ახლა პირველი ლიგის მატჩს დავესწარი და, რა თქმა უნდა, უმაღლესი ლიგის თამაშებზეც ვივლი. ჩემი ჩამოსვლა ნაკრების მომდევნო თამაშისთვის მზადებასაც მოიცავს.

**— მომდევნო მატჩი საქართველოს ნაკრებს 4 ივნისს აქვს ალბანეთში — მანამდე სულ საქართველოში იქნებით?**

— როცა საქართველოში არ ვარ, მაშინაც კი ვემზადები ნაკრების მორიგი თამაშისთვის. ალბანეთთან თამაშამდე საფრანგეთში დავბრუნდები თუ არა, ჯერ გადაწყვეტილი არაა.

**— ნაკრების მომდევნო მატჩებისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ეყოლება...**

— მერაბ ჟორდანიამ მომიწვია საქართველოს ნაკრებში, მაგრამ ეს არ არის მთავარი — მე ჩემი საქმე მაქვს გასაკეთებელი და რომელიმე პიროვნებისთვის კი არა, საქართველოსთვის ვმუშაობ. პიროვნებები მიდიან და მოდიან, საქართველო და ფეხბურთი კი რჩება. ვფიქრობ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მომავალი პრეზიდენტი სერიოზული პიროვნება იქნება.

**— დეტალურად იცით ყველაფერი, რაც თქვენ აქ არყოფნაში ითქვა?**

— დიახ, ამის შესახებ ყველაფერი ვიცი.

**— ალბანეთთან მატჩისთვის ნაკრების მნიშვნელოვნად გადახალისებას აპირებთ?**

— ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

**დავით თამართქილაძე**

საქართველოს ნაკრების საბერძნეთთან და თურქეთთან შესარჩევი მატჩებისას მომხდარი უწესრიგობების პასუხს ფიფა დღეს ითხოვს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სასჯელი არ ასცდება და ეს უკვე სალაპარაკოდაც არ ღირს, საკითხავი ისღაა, რა ზომა-წონის დისკვალიფიკაციას მიიღებს. ფიფას სადისციპლინო კომიტეტს ქართველების საქმის გარდა სამოცდაათამდე ფაქტის გარჩევა მოუწევს. თბილისური ამბავი კი ამ მხრივაც გამორჩეულია და კომიტეტის სხდომაც, დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად, ალბათ, სწორედ საქართველოს საკითხით დაიწყება

# ყველაზე კარგი: ორი მატჩი ცარიელ სტადიონზე

## ფიფა ჯერ საქართველოს დასჯის, მერე სხვებს

სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე მოპასუხე მხარედ ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩიღლარიაა მოწვეული, ის ფედერაციის ინტერესებს შვეიცარიელ ადვოკატთან ერთად დაიცავს. ადვოკატის ვინაობას ჯერ გეტყვით, თუმც გავიგეთ, რომ ადრე ფიფაში მუშაობდა, ახლა საადვოკატო კანტორის პატრონია და ასეთი საქმეების დიდი გამოცდილება აქვს.

სავარაუდოდ, სასჯელი ასეთი იქნება: შესარჩევი ჯგუფის ორ საშინაო მატჩს, უკრაინასთან და ყაზახეთთან საქართველოს ნაკრები ცარიელი ტრიბუნებით გამართავს იმასაც ამბობენ, რომ ეს ქართველებისთვის დისკვალიფიკაციის მინიმალური და სასურველი ფორმა უნდა იყოს. შესაძლოა, ფიფამ ფეხბურთის ფედერაციას ორმატჩიანი სასჯელი არ აკმაროს და თანაც შესარჩევი მატჩების ნეიტრალურ ქვეყანაში გამართვა ბრძანოს. ასე თუ მოხდა, საქართველოს ნაკრებს დისკვალიფიკაცია ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზეც გადაჰყვება.

ფედერაციის გენმდივანსა და ადვოკატს სხდომაზე სათქმელი სიტყვა უკვე მოუმზადებიათ და იგი ასეთი წინადადებით მთავრდება: „ფიფა ერთი ოჯახია და თუკი მის ერთ-ერთ წევრს უჭირს, [illegible] ახლა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია [illegible] უჭირს და დახმარებას გთხოვთ. ხვალ ჩვენ დაგეხმარებით“.

ვნახოთ, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ფიფას სადისციპლინო კომიტეტი, თუმც [illegible] დისკვალიფიკაციას [illegible] ქომაგების გამო ახლავე უნდა შევეგუოთ.

[illegible] საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების [illegible] უხეში თამაშიც უნდა ემსჯელათ. [illegible]

შევახსენებთ, [illegible] საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების [illegible] ფეხბურთელი [illegible]

**კობა ინასარიძე**

# როსა შინ წავიდა

## დინამოში ბრაზილიელები შემცირდნენ



[illegible] ფოტო

ახლა „დინამოში“ აღარც რიკარდო როსაა და აღარც გია გეგუჩაძე

**თბილისის** „დინამო“ ფიზმომზადების ბრაზილიელმა მწვრთნელმა რიკარდო როსამ დატოვა და სამშობლოში გაემგზავრა. როსას წასვლამდე ვითომ უთქვამს, მალე დავბრუნდებიო, მაგრამ როდის იქნება ეს „მალე“, აღარ დაზუსტებულა. კლუბის დატოვების მიზეზი კი ოჯახური პირობებიაო.

რიკარდო როსა საქართველოში სამი თვის წინ სამ ბრაზილიელ ფეხბურთელთან ერთად ჩამოვიდა, მათგან კი „დინამოს“ მხოლოდ მეკარე ჯონატას კუნეგატო შერჩა. დანარჩენმა ორმა კი კლუბის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა და რამდენიმე დღეში დაითხოვეს.

მოგვიანებით, საკუთარი სურვილით, მათ ფიზმომზადების მწვრთნელიც მიჰყვა. დღესდღეობით „დინამოში“ კუნეგატოს გარდა კიდევ ერთი ბრაზილიელია — სეზარ რომერო.

ფიზმომზადების ახალი მწვრთნელი „დინამოს“ თავკაც კახა ცხადაძეს ჯერ არ აურჩევია.

**ლუკა თალაკვაძე**



[illegible] ფოტო

# იქნებ აქ მაინც მიშველონ

## გოგა გახოკიძე დღეში 6-7 საათს მკურნალობს

რამდენიმე თვეა, რაც ჰოლანდიური „ტვენტეს“ 27 წლის შუახაზელი გოგა გახოკიძე ტრავმის გამო უქმობს, არადა, მისით ცხოვლადაა დაინტერესებული საქართველოს ეროვნული ნაკრების მეთაური ალენ ჟირესი, ვინც გახოკიძეს რამდენჯერმე უხმო გუნდში, მაგრამ გოგამ ჩამოსვლა ერთხელაც ვერ მოახერხა.

გუშინ გახოკიძეს ჰოლანდიაში დავურეკეთ და, ბუნებრივია, პირველ რიგში ჯანმრთელობაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...

— ჩემი ჯანმრთელობის საქმე მთლად კარგად ჯერაც ვერ არის. დაახლოებით სამი თვის წინ „დენ ჰაგთან“ სათასო მატჩში მარჯვენა ფეხის ქვედა კუნთი გამიწყდა და მერე ტრავმა გამირთულდა. ახლა უტრეხტთან ახლოს მდებარე ჰოლანდიის ნაკრების ბაზაზე ვარ და ვმკურნალობ — იქნებ აქ მაინც მომარჩინონ.

— ოპერაციის აუცილებლობა არ არის?

— არა, უოპერაციოდ უნდა განვიკურნო. ყველაფერი იმის ბრალია, ამ სეზონის პირველ ეტაპზე უთამაშებელი რომ ვიყავი და მერე უცბად მომიწია დატვირთვებმა. ჰოლანდიაში ამ ბაზაზე საუკეთესო ექიმები არიან და ჩემ გარდა აქ სხვა ფეხბურთელებიც არიან, რომელთაც გართულებული ტრავმები აქვთ. დღეში 6-7 საათი ვუნდები სამკურნალო პროცედურებს, რაც მასაჟებსა და სპეციალურ ვარჯიშებსაც მოიცავს. იმედია, ორ კვირაში უკვე გუნდთან ერთად შემეძლება ვარჯიში.

— შარშან ზაფხულში სამარის „კრილია სოვეტოვში“ უნდა გადასულიყავი, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა და უკრაინაში, დონეცკის „მეტალურგში“ აღმოჩნდი, თუმც იქ ფეხი ვერ მოიკიდე და სეზონის მეორე ეტაპისთვის „ტვენტეში“ დაბრუნდი...

— „კრილიაში“ საშინელ ხალხთან მქონდა საქმე. ისეთი პირობები შემომთავაზეს, იქ ალბათ ნებისმიერი ფეხბურთელი წავიდოდა, მაგრამ მომატყუეს. „მეტალურგში“ კი ისეთი სიტუაცია იყო, იქიდან რომ წამოვედი, მეგონა, ციხიდან გამომიშვეს. ერთხელ 3:0 მოვიგეთ და კლუბის პრეზიდენტმა კრება მოიწვია, თუ კვლავ ასე ითამაშებთ, ყველას ტრანსფერზე დაგაყენებთო. მიკვირს, ასეთი ხალხი როგორ ინარჩუნებს ფეხბურთელებს გუნდში. გოჩა ჯამარაული „მეტალურგში“ საუკეთესო იყო და როგორ მოექცნენ...

— რუსულ კლუბებში ბევრად მეტი ანაზღაურებაა, ვიდრე ჰოლანდიურებში?

— თუ „აიაქსს“ და პსვ-ს არ ჩავთვლით, რამდენიმე რუსულ კლუბში უფრო დიდი ხელფასია, რუსეთშიც ამის გამო წავედი, თორემ, რა თქმა უნდა, ჰოლანდიაში ცხოვრება ჯობს. „ტვენტესთანაც“ ორი წლით გავაგრძელე კონტრაქტი.

— ალენ ჟირესმა კი საქმეში ჯერაც ვერ გნახა...

— სამწუხაროა. მან ორჯერ გამომიძახა ნაკრებში და ორჯერვე ტრავმის გამო ვერ შევძელი ჩამოსვლა.

**დავით თავართქილაძე**





მარატ იზმაილოვი მოედანზეც და ცხოვრებაშიც მალხაზ ასათიანის გვერდით არის

# მარატ იზმაილოვის ქართული კონტექსტი

## ასათიანი რონალდინიოს გვერდით და იქაც პავლიაშვილი

მალხაზ ასათიანის და მარატ იზმაილოვის მეგობრობის ამბავი საქვეყნოდაა ცნობილი. ასათიანს ქართულ თუ რუსულ ინტერვიუებში არაერთხელ უთქვამს, იზმაილოვი ჩემი ძმაკაცია და ერთ-ერთი პირველია, „ლოკომოტივში“ გადასულს გვერდში რომ დამიდგაო.

გუშინ კი რკინიგზელთა ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ იზმაილოვის ინტერვიუს გადავაწყდით და... რა თქმა უნდა, ასათიანზე თბილი სიტყვებიც ამოვიკითხეთ.

კერძოდ, შეკითხვაზე — გყავთ თუ არა კერპი და, თქვენი აზრით, ვინ არიან მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები, მარატმა ასე უპასუხა: „ძალიან მომწონს რონალდინიოს და ასათიანის თამაში. სხვას ვერავის გამოვყოფ“.

როგორია?!

ქართველების სიყვარულში იზმაილოვი ერთხელაც გამოტყდა, როცა „ლოკომოტივის“ ოქროს მედლებით დაჯილდოების ცერემონიალის ყველაზე სამახსოვრო ეპიზოდის გახსენება სთხოვეს: „სოსო პავლიაშვილის გამოსვლა. ეს რაღაც განსაკუთრებულად ამაღელვებელი იყო ჩემთვის“.

მოკლედ, იზმაილოვი კარგად იყოს და, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ პერმის „ამკართან“ გაძევებულ ასათიანს რუსეთის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარა.

ასე რომ, ჩვენებური დღეს სანკტ პეტერბურგის „ზენიტიან“ მეტად მნიშვნელოვან მატჩს გამოტოვებს.

**კახა შალამბერიძე**

# ადლიიამ ადამია გაალიდერა

## ბაქი არაქართული გოლებით ივსება

**ამ კვირაში** აზერბაიჯანის ჩემპიონატში ორი ტური ჩათამაშდა და ერთ-ერთმა აუტსაიდერმა „ადლიიამ“ ბედის ჩარხი გიორგი ადამიას სასარგებლოდ დაატრიალა — ადამიას „ნეფთჩიმ“ ამ გუნდს შინ 2:0 მოუგო, ექს-ვიტჯორჯიელმა ფორვარდმა კი გოლი და საგოლე პასი მიითვალა. ამის შემდეგ „ადლიიამ“ "ნეფთჩის" უშუალო კონკურენტსა და მანამდე ლიდერ „ყარაბახს“ შინ 2:1 აგემა, რითაც „მენავთობეები“ გაალიდერა. თავის მხრივ ბაქოელებმა ძნელად, მაგრამ ყურბანოვის ბოლო წუთებზე გატანილით 1:0 მოუგეს „შახდაგს“.

ახლა ადამიას გუნდი ორი ქულით უსწრებს მეორეადგილოსან „ყარაბახს“, მესამე კი ლენქორანის „ხაზარია“, რომელიც „ნეფთჩის“ ოთხი ქულით ჩამორჩება, მაგრამ ერთი თამაში მარაგში აქვს.

„მენავთობეები“ მოქმედი ჩემპიონები არიან და, იმასაც შეგახსენებთ, რომ მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გვარიანი ჯახი გაუმართეს უეფას თასის ახლანდელ ნახევარფინალისტ მოსკოვის ცსკა-ს.

განვლილ ორ ტურში კიდევ ორი ქართული გოლი გავიდა: მიხეილ ხუციშვილმა „გიანჯას“ 1:0 მოაგებინა, თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილმა ნახევარმცველმა ზაზა ლაცაბიძემ კი „თურანში“ მიითვალა სადებიუტო გოლი — მისმა გუნდმა „არაზს“ 2:0 სძლია. სხვათა შორის, „თურანში“ კიდევ ერთი ყოფილი ლოკომოტიველი, ვეტერანი თენგიზ სიჭინავა თამაშობს.

მთლად აიწყვიტა ალექსანდრე გოგობერიშვილისა და მიხეილ ძოძუაშვილის „ბაქიმ“ — დედაქალაქელებმა ჯერ „გიაზანი“ 6:0, მერე კი „ბაკილი“ 7:2 წალეკეს, თუმცა ქართველები ამჯერადაც უგოლოდ დაშვრნენ. საქმე ისაა, რომ გოგობერიშვილს შეტევების ჩაშლასა და ფლანგზე სირბილს ავალებენ, ძოძუაშვილს კი იშვიათად ათამაშებენ. „ბაქის“ მთავარმეგოლეები კი ბრაზილიელები — ლეანდრო გომეში და ანდრე ლადაკა გახლავან. ბაქოელები ამჟამად მეშვიდე საფეხურზე არიან, თუმც მესამეადგილოსანთან მხოლოდ 4 ქულას აგებენ, თანაც გოგობერიშვილ-ძოძუაშვილის გუნდს თასის ფინალამდეც ერთი ნაბიჯიღა აკლია — ნახევარფინალის პირველი მატჩი სტუმრად 1:0 მოუგო „კარატს“.

**ილია ნანობაშვილი**



„აზერბაიჯანელ“ ქართველთაგან გიორგი ადამია საუკეთესოა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს პირველი ლიგის 16 ჩემპიონატი მეორე წრე 24 ტური



„ამერმა“ 100 შეასრულა: გიზო ჯელაძის საიუბილეო გოლი

გაიანე ჯაოლიშვილის ფოტო

# ამერული გრიგალი ზემოიმერლებს

## გაუფერულებული იუბილე და ექსპრესი დავითაშვილი

თბილისი. 28 აპრილი. 16 საათი. ფკ ამერის სკოლა. 300 მაყურებელი

**ამერი 7:0 მაღაროელი**

1:0 კაიდარაშვილი (9), 2:0 დავითაშვილი (11), 3:0 გ. ჯელაძე (21/3), 4:0 ბუალავა (48), 5:0 დავითაშვილი (49), 6:0 კაიდარაშვილი (56), 7:0 დავითაშვილი (71)

ამერი: ნაჭყებია (ნადირაშვილი 46), ზ. ჯელაძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე (ბუალავა 46), კაიდარაშვილი, დეკანოსიძე, გ. ჯელაძე, სილაგავა (გ. ჩხეტიანი 26), სევასტოპულო, დავითაშვილი
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

მაღაროელი: ბადურაშვილი, გაბრიჭიძე, დ. მეყილაძე, გარდაპხაძე, ც. ცერცვაძე, ტყემალაძე (დევაძე 46), ასანიძე, კ. თავბერიძე (ჯოხაძე 51), გაჩეჩილაძე, მ. ცერცვაძე, ფხალაძე (ბარათაშვილი 46)
მწვრთნელი: დავით იობაშვილი

გაფრთხილება: გ. ჯელაძე (72, 76)

გაძევება: გ. ჯელაძე (76)

მსაჯი: ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

ილია ნანობაშვილი

ერთ-ერთი რჩეული პირველლიგოსანი „ამერი“ რომ ბეჩავ „მაღაროელს“ იოლად მოუგრეხდა კისერს, ამას რა დიდი გულთმისნობა უნდოდა. გიორგი ჩიხრაძის გაწვრთნილებმა ნება-ნება თამაშით დაიწყეს და ასევე დაამთავრეს, შვიდჯერ გაიტანეს და გლდანში მისული ქომაგები ამხიარულეს.

მატჩი ახალი დაწყებული იყო, ტრიბუნაზე საქართველოს ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესი რომ გამოჩნდა გია გურულითურთ. ახალი დაწყებულიო, ვთქვით, მაგრამ მუსიე ჟირესის მოსვლამდე გლდანელთათვის ნაცნობი „ეს სულ ასე უბერავს“ უკვე ორჯერ იყო აჟღერებული. ჯერ გიორგი დეკანოსიძის ნაკუთხურალს ალეკო კაიდარაშვილმა დაჰკრა საგოლე თავური, ორ წუთში კი სულიკო დავითაშვილმა გაისეირნა ჭიათურელ მცველებში და დარტყმაც რიგიანი დაურთო — 2:0.

„ამერი“ წუთითაც არ დამცხრალა, სტუმარი საკუთარ საჯარიმოში გამოკეტა და ლაღი ცალკარა გააჩაღა. კაიდარაშვილი და დეკანოსიძე მოედნის ცენტრში ბატონობდნენ, ნახევარდაცვის ფლანგები მარჯვნიდან გიზო ჯელაძემ, მარცხნიდან კი გიორგი სილაგავამ აიკლეს, ლამის ყოველ წუთს გოლის სიგნალი ირთვებოდა და მესამე ბურთმაც არ დააგვიანა: გიზო ჯელაძე მეტეორივით შეფრინდა საჯარიმოში, სადაც წააქციეს და... პენალტით თავად გიზომ იხეირა. ეს ამერელთა მე-100 გოლი იყო საქართველოს ჩემპიონატებში, მაგრამ უმცროსმა ჯელაძემ „იუბილე“ თავად გაიუფერულა — მეორე ტაიმის სამწუთიან მონაკვეთში მიჯრით ორ ყვითელ ბარათს გამოჰკრა ხელი. რა აუცილებელი იყო 7:0-ზე ასეთი გამეტებით უხეშობა და ანერვიულება, ნაღდად ძნელი ასახსნელია.

გიზო ჯელაძის გაძევების გარდა, „ამერს“ სილაგავას ტრავმამაც გაუფუჭა ხასიათი. სწრაფი მარცხენაფლანგელი ერთ მომენტში უხერხულად დაეცა და მხარი ამოიგდო.

ახლა კი ისევ გოლების კასკადს მივყვეთ, რომელიც მეორე ტაიმის დასაწყისში დატრიალდა: შეცვლაზე შესულმა მირზა ბუალავამ დავითაშვილის დაფარულ პასს ზუსტი დარტყმა მიაყოლა — ეს მეოთხე; მერე თავად დავითაშვილმა გაიტანა — ეს მეხუთე; კაიდარაშვილის შორიდან დაქუხებული გზად ერთ-ერთ ჭიათურელს მოხვდა და... — ეს მეექვსე; დავითაშვილმა არ მოისვენა, 20 მეტრიდან მოიქნია ცაცია — ესეც მეშვიდე. „ამერმა“ სარეკორდო ანგარიშით იმარჯვა, 6:0 უნახავს, 7:0 კი პირველად გუშინ იყო.

შედეგად, გუშინ კიდევ ერთი „იუბილე“ აღინიშნა: სულიკო დავითაშვილმა უკვე 22 გოლს მოუყარა თავი და ბომბარდირთა დავაში მოცილე აღარ ჰყავს. ჰეთთრიქოსანი „აბრეზასგან“ განსხვავებით, თავისი გოლი ვერ შეაგდო ყოფილმა მაღაროელმა დავით სევასტოპულომ, თუმცა მთავარი ეს არაა. მთავარი ისაა, რომ „ამერს“ დარჩენილ 6 თამაშში 12 ქულაღა სჭირდება უმაღლესლიგელობამდე და ძნელად, რომ ეს საქმე გაუჭირდეს.

**ბორჯომი 1:0 რუსთავი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 24 | 19 | 3 | 2 | 61:24 | 60 |
| ამერი | 24 | 18 | 2 | 4 | 73:13 | 56 |
| სპარტაკი | 24 | 14 | 8 | 2 | 41:22 | 50 |
| კახეთი | 24 | 14 | 4 | 6 | 41:27 | 46 |
| ვიტ ჯორჯია | 24 | 13 | 6 | 5 | 37:19 | 45 |
| ცხინვალი | 24 | 13 | 3 | 8 | 33:25 | 42 |
| დინამო 2 | 24 | 12 | 1 | 11 | 50:39 | 37 |
| გურია | 24 | 9 | 6 | 9 | 26:35 | 33 |
| ჩიხურა | 24 | 8 | 7 | 9 | 24:26 | 31 |
| რუსთავი | 24 | 8 | 3 | 13 | 29:36 | 27 |
| ლოკომოტივი 2 | 24 | 7 | 5 | 12 | 28:38 | 26 |
| ოლიმპი | 24 | 7 | 4 | 13 | 29:39 | 25 |
| ივერია | 24 | 6 | 5 | 13 | 20:37 | 23 |
| მერანი | 24 | 6 | 4 | 14 | 28:43 | 22 |
| საგარეჯო | 24 | 3 | 5 | 16 | 19:52 | 14 |
| მაღაროელი | 24 | 0 | 4 | 20 | 11:75 | 4 |

# მე და ამერი ერთად

თბილისის „ამერისგან“ მუდმივად სიახლეების შემოთავაზება არავის უკვირს და შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივ ამბად იქცა. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმც რამდენიმე მათგანი მაინც ვახსენოთ: გოლის აღნიშვნის გამორჩეული რიტუალი, საიტის მქონე ერთადერთი პირველლიგელი კლუბი და ამ საიტზე მატჩების ონლაინ-რეპორტაჟების გაშვება.

ბოლო ამერული სიახლე კი ფანკლუბის დაარსება გახლავთ, რის თაობაზეც კლუბის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა გიორგი დარჯანიამ გვითხრა:

— ფანკლუბის ჩამოყალიბების იდეა გუშინ და დღეს არ გაგვჩენია. როდესაც „ამერი“ იქმნებოდა, უკვე მაშინ ვიცოდით, რომ ადრე თუ გვიან ფანკლუბის ჩამოყალიბებაზეც უნდა გვეფიქრა. მაგრამ ფანკლუბის მექანიკურად ჩამოყალიბება უაზრობაა. ჯერ ერთგული გულშემატკივარი უნდა შეიძინო, მათთან კონტაქტი დაამყარო და მხოლოდ ამის მერე იფიქრო ქომაგებისთვის ფანკლუბის შექმნაზე.

— ვფიქრობ, დღეს ამისთვის მზად ვართ, უფრო სწორად, საკითხი ბუნებრივად მომწიფდა. ჩვენი სტადიონის ტრიბუნა მუდამ სავსეა, რის გამოც ყოველ საშინაო მატჩზე 50-100 გულშემატკივარი ფეხზე მდგომი უყურებს თამაშს.

— იცით, რომ „ამერი“ ყოველწლიურად, სეზონის წინ და სეზონის ბოლოს ცნობარებს ბეჭდავს, რომლებსაც გულშემატკივრებს ვურიგებთ. ამის გარდა სამკერდე ნიშნებს და კლუბის ლოგოიან სხვადასხვა სუვენირებსაც ვამზადებთ და ვავრცელებთ. მატჩებზე კი ბევრი გულშემატკივარი „ამერის“ დროშით მოდის, ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ამერს“ და მის გულშემატკივრებს შორის უკვე ჩამოყალიბდა გულითადი ურთიერთობა, რომელსაც, გვსურს, ორგანიზებული ფორმა მივცეთ.

— ფანკლუბის წევრები მიიღებენ იმ სუვენირებს, რაც უკვე ჩამოვთვალე და, გარდა ამისა, საგანგებოდ მათთვის „ამერის“ საშინაო მატჩებზე სხვა სუვენირებიც გამოიშვება. ერთი სიტყვით, გვინდა, რომ სტადიონზე მოსულ გულშემატკივარს თამაშის ნახვის გარდა — ეს, რა თქმა უნდა, მთავარია — დამატებითი სერვისიც შევთავაზოთ.

— ფანკლუბის საწევრო გადასახადი აბსოლუტურად ხელმისაწვდომი თანხა იქნება.

— იმედი გვაქვს, რომ გულშემატკივრებიც გამოიჩენენ ინიციატივას და თავადაც მიიღებენ მონაწილეობას ფანკლუბის საქმიანობის გაფართოებაში. ფაქტობრივად, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან სხვაგვარად კლუბის და გულშემატკივრების თანამშრომლობა სრულფასოვანი ვერ იქნება.

— საინტერესოა, ეს ის თემაა, რომელზეც დიდხანს შეიძლება ლაპარაკი, რისი საშუალებაც ჩვენი კლუბის ოთხოლეულ გულშემატკივართან პირადად გვექნება. მთავარია, თავად მათ გამოიჩინონ ფანკლუბში გაწევრიანების სურვილი. ამისთვის უნდა მოგვმართონ „ამერის“ სტადიონის ადმინისტრაციაში, მისამართზე: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევთან) ან კლუბის ოფისში: ყაზბეგის გამზირი 42ა. ან დაგვირეკეთ: 39 00 98.




გაიანე ჯაოლიშვილის ფოტო

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ნახევარფინალი. პირველი მატჩი




„ლივერპულისა“ და „ჩელსის“ კაპიტნები და მწვრთნელები სტამბოლში წამსვლელს 3 მაისს გაარკვევენ

# ენფილდამდე, ერთი კვირის შემდეგ...

## ჟოზეს ნერვების მომშლელი

ლონდონი. „სტემფორდ ბრიჯი“. 40 500 მაყურებელი

### ჩელსი 0:0 ლივერპული

**ჩელსი:** 1 ჩეხი; 2 ჯონსონი, 6 რ. კარვალიუ, 26 ტერი, 13 გალასი; 4 მაკელელე; 30 ტიაგუ, 8 ლამპარდი; 22 გუდიონსენი, 10 ჯ. კოული; 15 დროგბა.

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

შეცვლა: ტიაგუ — 16 რობენი (59), კოული — 9 კეჟმანი (78)

**ლივერპული:** 1 დუდეკი; 3 ფინანი, 23 კარაგერი, 4 ჰიიპია, 21 ტრაორე; 25 ბიშკანი, 14 ხაბი ალონსო; 10 ლუის გარსია, 8 ჯერარდი, 6 რიისე; 5 ბაროში.

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

შეცვლა: ბაროში — 9 ჯ. სისე (65), ბიშკანი — 7 კიუელი (86), ლუის გარსია — 11 შმიცერი (90)

გაფრთხილება: ბიშკანი (57), კოული (59), კეჟმანი (79), ხაბი ალონსო (87)
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

ჯარიმა: 19-18; კუთხური: 6-2; კარისკენ დარტყმა: 5-5; კარში დარტყმა: 1-2; თამაშგარე: 7-3

**ნამატჩევს** ჟოზე მაურინიუ მოედნის კიდესთან იდგა და გასახდელისკენ მიმავალ თითქმის ოცდაორივე ფეხბურთელს ხელი ჩამოართვა, ბოლოს კი მსაჯებსაც მოუსინჯა ხელისგულები.

პორტუგალიელმა მწვრთნელმა თამაშამდე „ლივერპული“ აქო, რაფაელ ბენიტესს და მის გუნდს პატივს ვცემ, ჩვენ თუ მოგვიგებენ, ფინალში მათი ქომაგი ვიქნებიო.

ზოგადად, საფეხბურთო სამყარო შეეჩვია, რომ მაურინიუს ბევრი ლაქლაქი უყვარს და ხან ვის გადასწვდება, ხან ვის, მაგრამ „ლივერპულზე“, რომელსაც ამ სეზონში სამჯერ სძლია, გადაბრუნებული სიტყვა არასდროს დასცდენია.

სამაგიეროდ, „სტემფორდ ბრიჯზე“ უგოლო ფრის შემდეგ ენა მაინც „გაექცა“ და „ლივერპულის“ ფანებზე თქვა: „99 პროცენტს ჰგონია, რომ მათი გუნდი უკვე ფინალშია, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ასე არაა. ახლა უკეთეს ვითარებაში ჩვენ ვართ, რადგან „ლივერპული“ იძულებული იქნება შეგვიტიოს, ჩვენ კი კონტრშეტევაზე ვითამაშებთ. ამ მატჩში მეტოქეზე მეტი საგოლე მომენტი გვქონდა და გოლის გატანას „ენფილდზე“ მაინც მოვახერხებთ. შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა 0:0-ისთვის არ გვითამაშია. მჯერა, ფინალში გასვლას შევძლებთ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვიცი, „ჩელსი“ სტუმრად გოლს აუცილებლად გაიტანს. შარშან „დეპორტივოსთანაც“ მსგავსი რამ მოხდა: შინ უგოლოდ დავუზავდით, მაურო სილვამ კი მეორე ყვითელი ბარათის გამო ლა კორუნიაში საპასუხო მატჩი გამოტოვა და ესპანეთში 1:0 ვიმარჯვეთ. ახლაც თითქმის იგივე გამეორდა, შინ 0:0 და ხაბი ალონსო „ენფილდზე“ ველარ ითამაშებს, რადგან მას „ყვითლები“ დაუგროვდა“.

როგორც ჩანს, ჟოზე მაურინიუს შარშან მაურო სილვა უშლიდა ნერვებს, ახლა კი ხაბი ალონსოს კარგი თამაში არ მოუვიდა თვალში.

საკმაოდ დალონებული იყო ფრენკ ლამპარდი, რომელმაც პირველ ტაიმში ნაღდი საგოლე მომენტი გააფუჭა: „საწყენია, რომ ვერ გავიტანე, რადგან უკეთესი იქნებოდა, ლივერპულში 1:0-ით ჩავსულიყავით. ასეთი დონის მატჩებში ეს უკვე გვარიანი უპირატესობაა. მიუხედავად ამისა, შედეგით მთლად უკმაყოფილო არ ვარ, რადგან გოლი არ გავუშვით. უპირველესი მიზანი ეს იყო, მერე კი გოლის გატანა უნდა გვეცადა. ამ სეზონში „ენფილდზე“ ერთხელ უკვე მოვიგეთ 1:0 და ამის გამეორება შეგვიძლია“.

რაფაელ ბენიტესი თავისი „ლივერპულით“, უკვე მეოთხედ გადაეყარა „ჩელსის“ და შედეგებს ნელნელა აუმჯობესებს — პრემიერლიგაში ორჯერ ერთნაირი ანგარიშით (0:1) დამარცხდა, ინგლისის ლიგის თასის ფინალი დამატებით დროში წააგო, ამჯერად კი უგოლო ფრეს მიაღწია.

„ჩემპიონთა ლიგის დასაწყისში, ვინმეს რომ ეთქვა, ფინალში გასასვლელად „ენფილდზე“ ერთი მატჩის მოგება დაგჭირდებაო, ყაბულს ვიქნებოდი. ვფიქრობ, კარგად მოვემზადეთ ამ მატჩისთვის და ფრე დავიმსახურეთ. თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით და მეტოქე ვაიძულეთ, გრძელ პასებზე გადაწყობილიყო, თუმცა ამ შემთხვევაშიც სათანადოდ გავუმკლავდით. შესვენებამდე მათი ნახევარმცველები თავისუფლად მოძრაობდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში სივრცეები შევუზღუდეთ და უპირატესობა მოვიპოვეთ. ახლა, როცა საშინაო მატჩი გველის, „ენფილდის“ დიდი იმედი მაქვს. რაც შეეხება ხაბი ალონსოს, მსაჯი აშკარად შეცდა, როცა მას ყვითელი ბარათი უჩვენა, რადგან ხაბის გუდიონსენი არ წაუქცევია“ — თქვა ბენიტესმა.

სტივენ ჯერარდი: „დაცვაში ძალიან კარგად ვითამაშეთ და ვიცით, ჯერ არაფერი დასრულებულა, ეს მხოლოდ პირველი ტაიმი იყო. „სტემფორდ ბრიჯზე“ გოლის გატანა გვსურდა, მაგრამ რაც აქ ვერ მოვახერხეთ, შინ, საკუთარი ქომაგების მხარდაჭერით შევძლებთ. ხაბი ალონსო რომ დაგვაკლდება, ცუდია, თუმცა დიტმარ ჰამანი უკვე მომჯობინდა და ვიმედოვნებ, საპასუხო მატჩისთვის ფორმაში იქნება“.

თამაში უგოლოდ კი დასრულდა, მაგრამ ორი ნიჭიერი მწვრთნელის საფეხბურთო ნაზრევის შეხლა ცხადია, საინტერესო გამოდგა.

რაფაელ ბენიტესის „ლივერპულმა“ ჯერ კიდევ ტურინში, „იუვენტუსთან“ მატჩებისას აჩვენა, რომ მისი დაცვა ძლიერია და იოლად ვერავინ გაისეირნებს — სტივ ფინანს, ჯეიმი კარაგერს, სემი ჰიიპიასა და ჯიმი ტრაორეს ცხრაპირი ოფლის მოღვრა დასჭირდათ საიმისოდ, რომ „ჩელსის“ ბასრი შეტევები როგორმე დაეჩლუნგებინათ. მხოლოდ ასეთი თავგანწირვით თუ იქნებოდა შესაძლებელი მაურინიუს „დაქოქილი“ გუნდის ფორვარდთა განელება.

უდიდესი სამუშაო გასწიეს ხაბი ალონსომ და იგორ ბიშკანმა, რომლებიც შეტევაში ფრენკ ლამპარდივით ვერ ერთვებიან, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტოქის შუახაზელებს ნავარდის საშუალება არ მისცეს. მხოლოდ ერთხელ, პირველ ტაიმში დატოვეს უყურადღებოდ ლამპარდი და ამ შემთხვევაში „ლივერპულს“ გაუმართლა, რადგან ჩელსელმა ხუთიოდ მეტრიდან ბურთი კარს ააცილა.

ნამატჩევს, ამცილებელმა ეს მომენტი ასე გაიხსენა: „დარტყმის მომენტშივე გავიფიქრე, გოლია-მეთქი და ამან დამღუპა“.

ისე რომ არ გამოგვივიდეს, თითქოს „ლივერპულს“ ძალიან ვაქებდეთ, სათქმელი აქაც ვთქვათ: რა თქმა უნდა, „ჩელსის“ დაცვაც სანაქებოა. ამის დასამტკიცებლად პრემიერლიგის 34 მატჩში გაშვებული 13 გოლიც საკმარისია, თუმცა ჩემპიონთა ლიგაში იმავე „ბარსელონასთან“ და „ბაიერნთან“ ერთად რვა გოლი გაუშვეს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ორივე ზემოხსენებულ გუნდს ბევრი კარგი შემტევი ჰყავს, რასაც „ლივერპულზე“ ვერ ვიტყვით — მილან ბაროშმა, რომლის თამაშიც მუხლის ტრავმის გამო საეჭვო იყო, თავისი საქმე ალალად შეასრულა და ცდაც არ დაუკლია, მაგრამ... პირველი ტაიმის ბოლოს, მისი მოხდენილი თავური პეტრ ჩეხმა სასწაულებრივ მოიგერია და თვისტომს არ გატანინა. კიდევ ერთი შანსი იონ არნე რიისეს ჰქონდა, როცა ორი მცველი კოხტად მოაცურა, მაგრამ საშინელი ჯანის პატრონმა ნორვეგიელმა, რატომღაც სუსტად დაჰკრა ბურთს და ჩეხმაც იოლად მოიგერია.

რაც შეეხება „ჩელსის“ შეტევას, მაურინიუს ბენიტესისგან განსხვავებით, ამ მხრივ საწუწუნო ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ „ლივერპულთან“ ტრავმირებული დემიენ დაფი აკლდა.

ჯო კოული ორჯერ, მეტად სახიფათოდ დაბზრიალდა „ლივერპულის“ საჯარიმოში, მაგრამ პასები არ გამოუვიდა. თავის მხრივ დიდიე დროგბასაც ჰქონდა მომენტი, როცა მისმა დარტყმულმა ბურთმა კარის ხაზთან გაისრიალა და ვერც ერთმა ჩელსელმა ფეხი ვერ მიაწვდინა, რომ ბადეში შეეგორებინა. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა არიენ რობენმა კი, მაურინიუს იმედი ვერ გაამართლა, რადგან ჰოლანდიელი ტრავმისგან ახალი მოკეთებულია და ჯერ ჩვეულ ფორმაში არ არის.

**მაშა ხუციშვილი**

**ტოტალიზატორ „უილიამ ჰილის“ კოეფიციენტები ჩემპიონთა თასის აღებაზე**

| | |
|---|---|
| მილანი (იტალია) | 4-5 |
| ჩელსი (ინგლისი) | 7-4 |
| ლივერპული (ინგლისი) | 5-1 |
| პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | 25-1 |

# პრემიერის უცნაური ღიმილი

## ბოლოს და ბოლოს, სად მიდის ფრანჩესკო ტოტი?

*იტალიაში, ფეხბურთი სპორტის ჩარჩოებში რომ ვერ ეტევა, ამ დღეებში კიდევ ერთხელ, თან თვალსაჩინოდ დადასტურდა:*

*ქვეყნის ცოტა ხნის წინ გადამდგარ და მერე ისევ დროებით, ახალ არჩევნებამდე დაბრუნებულ პრემიერ-მინისტრს, იმავდროულად კი „მილანის" პატრონ სილვიო ბერლუსკონის, პოლიტიკაზე საუბრისას ჟურნალისტებმა მოულოდნელად „რომას" კაპიტნის, ფრანჩესკო ტოტის „მილანში" შესაძლო გადაყვანის შესახებ ჰკითხეს და... ბერლუსკონიმ უცნაური პასუხი გასცა, სიტყვით განაცხადა არაფერს ვიტყვიო, ჟესტიკულაცია კი ასეთი ჰქონდა: ფართოდ გაიღიმა და თავი დააქნია*



ფრანჩესკო ტოტის საცოლე ილარი ბლაზი შესაძლოა, „მილანში" გადასვლასაც ურჩევდეს

**რა უნდა** იფიქრო კაცმა, როდესაც კითხვაზე, „მართალია თუ არა..." ადამიანი, თან ამოდენა პასუხისმგებლობის მქონე დიპლომატი და პოლიტიკოსი, თავს გიქნევს და იღიმება? ამიტომაც ატყდა ერთი ამბავი, ფრანჩესკო ტოტის „მილანში" გადასვლა ლამის უკვე მოგვარებულ საკითხად გამოცხადდა.

აქ, მოდით, წინაისტორია გავიხსენოთ: ამ სეზონში, ტოტის ერთი წამოცდენა უკვე წამოსცდა, რომ „მილანის" წინადადებას სიამოვნებით დათანხმდებოდა. მანამდე კი იყო საუბარი, რომ თუ „რომას" ლიდერი და თილისმა სადმე გადავიდოდა, მხოლოდ უცხოეთში, ვინაიდან თავი იტალიის სხვა გუნდში ვერ წარმოედგინა — ეს რომაელობის ღალატად ჩაეთვლებოდა.

გამოხდა ხანი და გაირკვა, რომ ღალატი ღალატად და „მილანი" და „ინტერი" მისი გადაბირებით სერიოზულად ყოფილან დაინტერესებულნი. გაირკვა ისიც, რომ თუ ტოტი გაიყიდება, მისი რეალური ფასი დაახლოებით 32 მილიონი ევროს ფარგლებში იტრიალებს, ხოლო ამ თანხის გადამხდელები იტალიაში მხოლოდ მილანური კლუბები არიან.

ამას დაამატეთ გაუთავებელი გაუგებრობა და კონფლიქტები, რომელიც მიმდინარე სეზონში „რომაში" და სხვებთან ერთად ტოტისთან დაკავშირებითაც ტრიალებს. შეგახსენებთ, რომ სულ ახლახან, „სიენასთან" შეხვედრაში, ტოტიმ მეტოქის ფეხბურთელს, ფრანჩესკო კოლონეზეს დაარტყა, რის გამოც მას იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, ხოლო საკუთრივ კლუბმა თვიური ხელფასიდან 30 პროცენტი დაუქვითა.

და მაინც, როგორც კი სილვიო ბერლუსკონიმ ორაზროვანი ჟესტი გააკეთა, რის გამოც იტალიურ პრესასა და ტელევიზიაში ერთი ამბავი ატყდა, „რომას" პრეზიდენტის, ფრანკო სენსის შვილმა როზელა სენსიმ ოფიციალურად გამოთქვა პროტესტი.

„ტოტი რომიდან არსად წავა, სხვა გუნდებს კი ყურადღებისთვის დიდ მადლობას მოვახსენებთ" — ბრძანა მან.

ასე იყო თუ ისე, დროებით პრემიერს ვითარების განსამუხტავად კიდევ ერთხელ მოუხდა საჯარო განცხადებით გამოსვლა. სილვიო ბერლუსკონიმ თქვა:

„ერთხელ ვთქვი და პოზიცია არ შემიცვლია, იმ ფეხბურთელების ყიდვა და გაყიდვა, რომლებიც ამა თუ იმ გუნდის სახეს წარმოადგენენ, არ შეიძლება."

ამ განცხადების პასუხად ჟურნალისტებმა მას შეახსენეს „ლაციოს" სახის, ალესანდრო ნესტას „მილანში" გადასვლის ამბავი, მაგრამ ბერლუსკონის პასუხი აქაც გამზადებული ჰქონდა:

„ნესტა ჩვენ მხოლოდ მას მერე შევიძინეთ, რაც გავიგეთ, რომ „ლაციო" „იუვენტუსში" უპირებდა გაყიდვას".

**პაპუნა ქედია**

# აბრამოვიჩის აბდა-უბდა

## ყველა ჩელსისთვის და არავინ

*წლევანდელი სეზონი ნელ-ნელა დასალიერისკენ მიდის და ბობოლა თუ ისე რა კლუბების სატრანსფერო ჭახა-ჭუხიც ზაფხულისთვის ძალას იკრებს. თავისთავად, ჯერ გახურების პროცესია, მერე კი მთელი ძალით ამოქმედების დროც დადგება*



ვის დაუკრავს ტაშს რომან აბრამოვიჩი?

**ასე მაგალითად**, ბოლოხანს საფეხბურთო სატრანსფერო ბაზრის ყოჩზე, ქისაგამოულეველ რომან აბრამოვიჩის „ჩელსიზე" იწერება და იწერება.

ჟოზე მაურინიუმ ერთხელ თქვა, ახალი სეზონისთვის სულ ცოტა, სამ ფეხბურთელს ვიყიდითო და... ევროპელი ჟურნალისტებიც დღითი დღე წერენ ტყუილ-მართალს, სასწორზე ხომ ათიანში მორტყმა დევს.

მოკლედ, ახლა იტალიურმა „კორიერე დელო სპორტმა" წამოჰყო თავი, საქმე კი „ჩელსიში" ადრიანოს და ჯანლუკა ძამბროტასა და მარეკ იანკულოვსკის შესაძლო გადასვლას ეხება.

როგორც ამბობენ, ლონდონური კლუბის პატრონ რომან აბრამოვიჩს ბრაზილიელი ფორვარდის შესაძენად 70 მილიონი ევრო უკვე გამზადებული აქვს. სავარაუდოდ, მილანის „ინტერს" ასეთ წინადადებაზე უარის თქმა ძალიან გაუჭირდება თუნდაც იმიტომ, რომ თანხის ნახევრით ადრიანოს სრულფასოვანი შემცვლელის ყიდვაა შესაძლებელი.

იტალიელი მიმომხილველების აზრით, თუ ეს სარეკორდო ტრანსფერი მართლაც შედგა, „ნეროაძურის" შეფობას 23 წლის ადრიანოს შემცვლელად ალბერტო ჯილარდინო ესახება, მიუხედავად იმისა, რომ პარმელს „მილანი" სერიოზულად „ეჩალიჩება". ინტერელები ასევე ანტონიო კასანოს შეძენას შეეცდებიან, აქ კი მათი მთავარი კონკურენტი „იუვენტუსია".

რაც შეეხება ჯანლუკა ძამბროტას „ჩელსიში" გადასვლის შესაძლებლობას, ჭორებს თუ ვენდობით, ლონდონელები უკვე შეუთანხმდნენ „იუვენტუსს" და დამდეგ ზაფხულს ეს ტრანსფერი აუცილებლად შედგება. მედია დასძენს, საქმე აქაც ძალიან დიდ ფულს ეხებაო, თუმც კონკრეტული ციფრები არ სახელდება.

მერე კი „კორიერე დელო სპორტში" კითხულობთ, თუ ტურინელები მართლაც შეელევიან თავიანთ წამყვან მცველს, ძამბროტას სავარაუდოდ ჯორჯო კიელინითი შეცვლიან, რომელიც ამჟამად „ფიორენტინაშია" განათხოვრებული.

და ბოლოს, მარეკ იანკულოვსკიზეც. მოგეხსენებათ, „უდინეზეს" ჩეხი ჰავბეკი ცალი ფეხით უკვე „მილანშია" გადასული და „შავ-წითლები" ზაფხულში მის სანაცვლოდ 6 მილიონ ევროსაც გამოვლენ, მაგრამ აბრამოვიჩმა უდინელებს — „ინტერისა" და „იუვენტუსის" არ იყოს — მათაც შესთავაზა თანხა, 8 მილიონს გროშიც არ დააკლდება და ეგ ყოჩაღი ბიჭი „მილანს" კი არა, მე დამითმეო.

ერთი სიტყვით მკითხველო, თქვენ კი არა, ჩვენ ვერ გავიგეთ რა ხდება — ჯერ ეშლი კოულიო, მერე ჩვენებური კახა კალაძეო, ახლა კიდევ ძამბროტაო... მოდი და გაიგე.

**გიორგი ძაძამაძე**

*ჩილეს ეროვნული ნაკრების მწვრთნელად ნელსონ აკოსტა დანიშნეს, რომელმაც ხუვენალ ოლმოსი შეცვალა. გეხსომებათ, ოლმოსი ერთი კვირის წინ, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცთან კამათის გამო გაათავისუფლეს*

# ჩილემ აკოსტა გაიხსენა

## ნელსონ, გვიშველე, გერმანიაში გვინდა

**ასეა თუ ისე**, ნელსონ აკოსტამ ნაკრები უკვე მეორედ ჩაიბარა. ის ჩილეს შვიდი წლის წინათაც წვრთნიდა და გუნდი 1998-ში, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ათამაშა.

„ფედერაციასთან ჯამაგირზე და კონტრაქტზე ჯერ არ მისაუბრია, რადგან ჩემთვის მთავარი ფული კი არა, ნაკრებია" — თქვა ახალდანიშნულმა.

აკოსტა ბოლოს „კობრელოაში" მუშაობდა, მანამდე კი ბოლივიის ეროვნულ გუნდს ედგა სათავეში, მაგრამ ხუვენალ ოლმოსის არ იყოს, იგიც ფეხბურთის ფედერაციის შეფობასთან უთანხმოების გამო დაითხოვეს სამუშაოდან შარშანდელ მარტში, მაშინ, როცა ბოლივიამ შინ ჩილესთან (!) წააგო.



ახლა, 2006 წლის გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში ჩილე 14 ქულით მერვე ადგილზეა, მაგრამ ხუთეულში მოხვედრის შანსი ჯერ კიდევ აქვს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შოდლის სიმთვრალე

**ინგლისის** ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი კრის უოდლი დააპატიმრეს, მაგრამ შემდეგ თავდებით გაუშვეს.

გასულ ხუთშაბათ საღამოს, შეფილდის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ პაბში, 44 წლის კრის უოდლი გვარიანად გამოტყვრა და მავან 20 წლის ბიჭს აუხირდა, რომელმაც არაფერი დაუთმო და ხელჩართული ჩხუბიც გაიმართა — უოდლმა მასზე უმცროსს მუშტებით თავ-პირი გაუერთიანა".

სამხრეთ იორკშირის პოლიციის თანამშრომელმა განაცხადა: „44 წლის კაცი დავაპატიმრეთ მას შემდეგ, რაც მან 20 წლის ბიჭს სახეში შემოჰკრა და დაზარალებულმაც ჩვენ მოგვმართა. იგი პოლიციის განყოფილებაში გადავიყვანეთ, მაგრამ თავდებით გამოვუშვით. მერეღა მივხვდით, რომ ის ცნობილი კრის უოდლი ყოფილა. საქმეს კი შეფილდის პოლიცია იძიებს".

კრის უოდლი, „ტოტენჰემის", „მარსელის", ნიუკასლისა" და „სანდერლენდის" ყოფილი ფეხბურთელია, რომელიც 90-იანი წლების შუაში „შეფილდ უენსდიში" თამაშობდა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ცრემლი, გოლი და რომარიო

## ამხანაგური მატჩი

**ბრაზილია 3:0 გვატემალა**

1:0 ანდერსონი (5), 2:0 რომარიო (17), 3:0 გრაფიტე (65)

**ბრაზილია:** მარკოსი (როჟერიო სენი 46), სისინიო (გაბრიელი 63), ანდერსონი, ფაბიანო ელერი (გლაუბერი 81), ლეო, მინეირო, მაგრაო (მარსინიო 37), კარლოს ალბერტო (ფერნანდაო 46), რიკარდინიო, რომარიო (გრაფიტე 38), რობინიო (ფრედი 46)

**გვატემალა:** კლეე (პ. მოტა 80), ნ. მარტინესი, მელგარი (მ. გონსალესი 80), კაბრერა, ჩენი (რ. გომესი 46), გირონი (ნ. მორალესი 46), გ. რომერო, ფ. ტომპსონი (კ. ფიგეროა 65), კ. კასტილიო (არაგონი 80), სანდოვალი, სანაბრია (დავილა 65)

მსაჯი: მარტინ ვასკესი (ურუგვაი)

25 000 მაყურებელი

**სან პაულუში,** „პასაემბუს" სტადიონზე, 39 წლის რომარიომ ბოლო სანაკრებო მატჩი ითამაშა — ერთი გოლი გაიტანა, მეორე არ ჩაუთვალეს, 38-ე წუთზე შეცვალეს და ყვითელი ბარათის მიღებაც მოასწრო.

მოკლედ, ბრაზილიის ტელევიზიის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გუშინწინ „პენტაკამპეონები" გვატემალას ამხანაგურად შეხვდნენ, მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ კი რომარიო დააფასა და ეს მატჩი ნაკრებიდან დიდმეგოლის გასაცილებელ ზეიმად აქცია.

ბოლო სანაკრებო გოლი რომარიომ მეჩვიდმეტე წუთზე, სტუმართა მეკარის შეცდომის წყალობით, რიკარდინიოს პასით თავით შეაგდო. ერთის გატანა მანამდეც მოასწრო, მაგრამ ოფსაიდის გამო გააუქმეს, ხოლო ჩათვლილი გოლის შემდეგ კი გახარებულმა მაისურა გაიძრო, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო.

მატჩის დაწყების წინ, ეროვნული ჰიმნი რომარიომ ცრემლით შეაზავა, ხოლო 38-წუთზე შეცვლილი ფორვარდი იმ თანაგუნდელებმა გააცილეს, რომლებთან ერთადაც 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. რაღა თქმა უნდა, პირთამდე გადაჭედილ „პასაემბუს" ტაშის შემოკვრა არ დაზარებია.

„სამწუხაროდ, სანაკრებო კარიერა დასრულდა, მაგრამ ბედნიერი ვარ იმით, რაც ეროვნულ გუნდთან ერთად მოვიგე" — თქვა 39 წლის მეგოლემ.

რომარიოს საკლუბო კარიერა კი ჯერჯერობით გრძელდება. ის „ვასკუ და გამაში" თამაშობს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინგლისი

**პრემიერლიგა**

**გადადებული მატჩი**

**ნიუკასლი 0:0 მიდლსბრო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 34 | 26 | 7 | 1 | 65:13 | 85 |
| არსენალი | 34 | 22 | 8 | 4 | 74:33 | 74 |
| მანჩესტერი | 34 | 20 | 10 | 4 | 50:21 | 70 |
| ევერტონი | 34 | 17 | 7 | 10 | 41:34 | 58 |
| ლივერპული | 35 | 16 | 6 | 13 | 48:36 | 54 |
| ბოლტონი | 35 | 15 | 9 | 11 | 45:39 | 54 |
| მიდლსბრო | 35 | 13 | 11 | 11 | 50:44 | 50 |
| ტოტენჰემი | 35 | 13 | 9 | 13 | 42:39 | 48 |
| ასტონ ვილა | 35 | 12 | 11 | 12 | 42:43 | 47 |
| სიტი | 35 | 11 | 12 | 12 | 42:37 | 45 |
| ჩარლტონი | 35 | 12 | 9 | 14 | 40:51 | 45 |
| ბლექბერნი | 35 | 9 | 14 | 12 | 30:38 | 41 |
| ბირმინგემი | 35 | 9 | 12 | 14 | 36:43 | 39 |
| ნიუკასლი | 34 | 9 | 12 | 13 | 43:53 | 39 |
| პორტსმუთი | 35 | 10 | 8 | 17 | 42:54 | 38 |
| ფულემი | 34 | 9 | 8 | 17 | 40:56 | 35 |
| კრ. პალასი | 35 | 7 | 9 | 19 | 37:58 | 30 |
| ვესტ ბრომვიჩი | 35 | 5 | 15 | 15 | 33:58 | 30 |
| ნორვიჩი | 35 | 6 | 12 | 17 | 38:67 | 30 |
| საუთჰემპტონი | 35 | 5 | 13 | 17 | 38:59 | 28 |

## გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა**

**გადადებული მატჩი**

**ალენი 1:3 ბურგჰაუზენი**

1:0 ბ. ნდიაიე (43), 1:1 რაიზინგერი (64), 1:2 კრეიჩი (79), 1:3 რაიზინგერი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 30 | 17 | 7 | 6 | 54:30 | 58 |
| დუისბურგი | 30 | 17 | 5 | 8 | 44:26 | 56 |
| აინტრახტი | 30 | 16 | 4 | 10 | 56:38 | 52 |
| მიუნხენი | 30 | 13 | 11 | 6 | 43:33 | 50 |
| ალემანია | 30 | 14 | 6 | 10 | 53:33 | 48 |
| აუე | 30 | 14 | 5 | 11 | 45:36 | 47 |
| ფიურტი | 30 | 14 | 5 | 11 | 43:37 | 47 |
| ბურგჰაუზენი | 30 | 13 | 8 | 9 | 43:45 | 47 |
| დინამო | 30 | 12 | 4 | 14 | 41:49 | 40 |
| 11211 | მალიორკა-ესპანიოლი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11212 | ნუმანსია-ვალენსია | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 11213 | რასინგი-ბეტისი | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11214 | სევილია-დეპორტივო | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11215 | სოსიედადი-რეალი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.4 |
| 11217 | ვილიარეალი-ხეტაფე | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11219 | სარაგოსა-ოსასუნა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.0 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | კი | არა |
|---|---|---|
| 13005 ბირმინგემი-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 13006 ფულჰემი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 13007 ლივერპული-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 13008 სიტი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 13009 ნიუკასლი-კრისტალ პალასი | 1.7 | 1.9 |
| 13010 საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13011 ბოლტონი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 13013 ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 13014 ჩარლტონი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 13016 ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 13079 ბოხუმი-მაინცი | 1.7 | 1.9 |
| 13082 ჰანსა-ჰერტა | 1.7 | 1.9 |
| 13084 კაისერსლაუტერნი-ბაიერნი | 1.7 | 1.9 |
| 13085 მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 1.7 | 1.9 |
| 13086 შალკე-ლევერკუზენი | 1.7 | 1.9 |
| 13088 ვერდერი-არმინია | 1.7 | 1.9 |
| 13089 ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 1.7 | 1.9 |
| 13090 ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.7 | 1.9 |
| 13161 ფიორენტინა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 13163 ინტერი-სიენა | 1.9 | 1.7 |
| 13165 იუვენტუსი-ბოლონია | 1.9 | 1.7 |
| 13167 ლეჩე-ლაციო | 1.6 | 2.0 |
| 13169 პალერმო-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 13170 პარმა-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 13171 რომა-ბრეშა | 1.6 | 2.0 |
| 13173 უდინეზე-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 13207 ატლეტიკო-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 13208 ბარსელონა-ალბასეტე | 1.9 | 1.7 |
| 13210 ლევანტე-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 13211 მალიორკა-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 13212 ნუმანსია-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 13213 რასინგი-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 13214 სევილია-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 13215 სოსიედადი-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 13217 ვილიარეალი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13219 სარაგოსა-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | |
|---|---|---|
| 12005 ბირმინგემი-ბლექბერნი | 1.6 | 2.0 |
| 12006 ფულჰემი-ევერტონი | 1.6 | 2.0 |
| 12007 ლივერპული-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 12008 სიტი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 12009 ნიუკასლი-კრისტალ პალასი | 1.7 | 1.9 |
| 12010 საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12011 ბოლტონი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 12013 ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1.6 | 2.0 |
| 12014 ჩარლტონი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 12016 ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 12079 ბოხუმი-მაინცი | 1.9 | 1.7 |
| 12082 ჰანსა-ჰერტა | 1.9 | 1.7 |
| 12084 კაისერსლაუტერნი-ბაიერნი | 1.9 | 1.7 |
| 12085 მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 1.9 | 1.7 |
| 12086 შალკე-ლევერკუზენი | 2.0 | 1.6 |
| 12088 ვერდერი-არმინია | 2.0 | 1.6 |
| 12089 ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 2.0 | 1.6 |
| 12090 ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.9 | 1.7 |
| 12161 ფიორენტინა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 12163 ინტერი-სიენა | 1.9 | 1.7 |
| 12165 იუვენტუსი-ბოლონია | 1.7 | 1.9 |
| 12167 ლეჩე-ლაციო | 1.9 | 1.7 |
| 12169 პალერმო-კიევო | 1.6 | 2.0 |
| 12170 პარმა-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 12171 რომა-ბრეშა | 1.9 | 1.7 |
| 12173 უდინეზე-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 12207 ატლეტიკო-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 12208 ბარსელონა-ალბასეტე | 2.0 | 1.6 |
| 12210 ლევანტე-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 12211 მალიორკა-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 12212 ნუმანსია-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 12213 რასინგი-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 12214 სევილია-დეპორტივო | 1.6 | 2.0 |
| 12215 სოსიედადი-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 12217 ვილიარეალი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 12219 სარაგოსა-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი [illegible] ჩაითვლება)

| | | |
|---|---|---|
| 14005 ბირმინგემი-ბლექბერნი | 1.75 | 2.1 |
| 14006 ფულჰემი-ევერტონი | 1.95 | 1.85 |
| 14007 ლივერპული-მიდლსბრო | 1.45 | 2.4 |
| 14008 სიტი-პორტსმუთი | 1.45 | 2.4 |
| 14009 ნიუკასლი-კრისტალ პალასი | 1.6 | 2.3 |
| 14010 საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 1.75 | 2.1 |
| 14011 ბოლტონი-ჩელსი | 2.3 | 1.6 |
| 14013 ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1.7 | 2.2 |
| 14014 ჩარლტონი-მანჩესტერი | 2.4 | 1.45 |
| 14016 ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 2.4 | 1.45 |
| 14079 ბოხუმი-მაინცი | 1.45 | 2.4 |
| 14082 ჰანსა-ჰერტა | 2.2 | 1.7 |
| 14084 კაისერსლაუტერნი-ბაიერნი | 2.4 | 1.45 |
| 14085 მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 1.9 | 1.9 |
| 14086 შალკე-ლევერკუზენი | 1.65 | 2.3 |
| 14088 ვერდერი-არმინია | 1.2 | 2.6 |
| 14089 ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 14090 ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.8 | 2.0 |
| 14161 ფიორენტინა-მილანი | 2.4 | 1.45 |
| 14163 ინტერი-სიენა | 1.3 | 2.5 |
| 14165 იუვენტუსი-ბოლონია | 1.08 | 2.9 |
| 14167 ლეჩე-ლაციო | 1.7 | 2.2 |
| 14169 პალერმო-კიევო | 1.65 | 2.3 |
| 14170 პარმა-ლივორნო | 1.3 | 2.5 |
| 14171 რომა-ბრეშა | 1.45 | 2.4 |
| 14173 უდინეზე-ატალანტა | 1.3 | 2.5 |
| 14207 ატლეტიკო-ბილბაო | 1.7 | 2.2 |
| 14208 ბარსელონა-ალბასეტე | 1.02 | 2.9 |
| 14210 ლევანტე-მალაგა | 1.7 | 2.2 |
| 14211 მალიორკა-ესპანიოლი | 1.95 | 1.85 |
| 14212 ნუმანსია-ვალენსია | 2.4 | 1.45 |
| 14213 რასინგი-ბეტისი | 1.95 | 1.85 |
| 14214 სევილია-დეპორტივო | 1.65 | 2.3 |
| 14215 სოსიედადი-რეალი | 2.3 | 1.45 |
| 14217 ვილიარეალი-ხეტაფე | 1.2 | 2.6 |
| 14219 სარაგოსა-ოსასუნა | 1.45 | 2.4 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | ლუწი | კენტი |
|---|---|---|
| 17005 ბირმინგემი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17006 ფულჰემი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17007 ლივერპული-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17008 სიტი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17009 ნიუკასლი-კრისტალ პალასი | 1.85 | 1.95 |
| 17010 საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17011 ბოლტონი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17013 ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1.87 | 1.95 |
| 17014 ჩარლტონი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17016 ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17079 ბოხუმი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17082 ჰანსა-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17084 კაისერსლაუტერნი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17085 მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17086 შალკე-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17088 ვერდერი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17089 ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17090 ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17161 ფიორენტინა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17163 ინტერი-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17165 იუვენტუსი-ბოლონია | 1.85 | 1.95 |
| 17167 ლეჩე-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17169 პალერმო-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17170 პარმა-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17171 რომა-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17173 უდინეზე-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17207 ატლეტიკო-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17208 ბარსელონა-ალბასეტე | 1.85 | 1.95 |
| 17210 ლევანტე-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17211 მალიორკა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17212 ნუმანსია-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17213 რასინგი-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17214 სევილია-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17215 სოსიედადი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17217 ვილიარეალი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17219 სარაგოსა-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | |
|---|---|---|
| 16005 ბირმინგემი-ბლექბერნი | 1.45 | 2.3 |
| 16006 ფულჰემი-ევერტონი | 1.8 | 1.65 |
| 16007 ლივერპული-მიდლსბრო | 1.25 | 2.9 |
| 16008 სიტი-პორტსმუთი | 1.3 | 2.65 |
| 16009 ნიუკასლი-კრისტალ პალასი | 1.3 | 2.65 |
| 16010 საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 1.45 | 2.3 |
| 16011 ბოლტონი-ჩელსი | 2.3 | 1.45 |
| 16013 ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1.4 | 2.4 |
| 16014 ჩარლტონი-მანჩესტერი | 2.8 | 1.3 |
| 16016 ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 2.8 | 1.3 |
| 16079 ბოხუმი-მაინცი | 1.3 | 2.8 |
| 16082 ჰანსა-ჰერტა | 2.4 | 1.4 |
| 16084 კაისერსლაუტერნი-ბაიერნი | 2.7 | 1.3 |
| 16085 მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 1.8 | 1.75 |
| 16086 შალკე-ლევერკუზენი | 1.35 | 2.5 |
| 16088 ვერდერი-არმინია | 1.1 | 4.5 |
| 16089 ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 1.7 | 1.8 |
| 16090 ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.5 | 2.1 |
| 16161 ფიორენტინა-მილანი | 2.6 | 1.3 |
| 16163 ინტერი-სიენა | 1.12 | 4.5 |
| 16165 იუვენტუსი-ბოლონია | 1.05 | 5.5 |
| 16167 ლეჩე-ლაციო | 1.4 | 2.5 |
| 16169 პალერმო-კიევო | 1.3 | 2.7 |
| 16170 პარმა-ლივორნო | 1.15 | 4.0 |
| 16171 რომა-ბრეშა | 1.2 | 3.2 |
| 16173 უდინეზე-ატალანტა | 1.25 | 3.1 |
| 16207 ატლეტიკო-ბილბაო | 1.35 | 2.5 |
| 16210 ლევანტე-მალაგა | 1.35 | 2.5 |
| 16211 მალიორკა-ესპანიოლი | 1.8 | 1.7 |
| 16212 ნუმანსია-ვალენსია | 2.8 | 1.3 |
| 16213 რასინგი-ბეტისი | 1.85 | 1.65 |
| 16214 სევილია-დეპორტივო | 1.3 | 2.7 |
| 16215 სოსიედადი-რეალი | 2.6 | 1.3 |
| 16217 ვილიარეალი-ხეტაფე | 1.15 | 4.5 |
| 16219 სარაგოსა-ოსასუნა | 1.3 | 2.7 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15005 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | ფულჰემი-ევერტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | ლივერპული-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15008 | სიტი-პორტსმუთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | ნიუკასლი-კრისტალ პალასი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 | საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15011 | ბოლტონი-ჩელსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15013 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15014 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15016 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15079 | ბოხუმი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15082 | ჰანსა-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15084 | კაისერსლაუტერნი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15085 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15086 | შალკე-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15088 | ვერდერი-არმინია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15089 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15090 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15160 | კალიარი-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15161 | ფიორენტინა-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15163 | ინტერი-სიენა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15165 | იუვენტუსი-ბოლონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15167 | ლეჩე-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15169 | პალერმო-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15170 | პარმა-ლივორნო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15171 | რომა-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15173 | უდინეზე-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15207 | ატლეტიკო-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15208 | ბარსელონა-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15210 | ლევანტე-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15211 | მალიორკა-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15212 | ნუმანსია-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15213 | რასინგი-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15214 | სევილია-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15215 | სოსიედადი-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15217 | ვილიარეალი-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15219 | სარაგოსა-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

# აი, შანსი

## ცამეტკაცას ჰორიზონტზე ევროპის ერთა თასი გამოუჩნდა

**დღეს** საქართველოს ცამეტკაცა რაგბის ნაკრებს ისტორიული დღე აქვს. ახალშობილ გუნდს პირველი საერთაშორისო შეხვედრა ელის ჰოლანდიის ნაკრებთან. ამასობაში ევროპის ლიგის რაგბის ფედერაციის საიტზე, რომელიც ყურადღებას არ გვაკლებს, ოფიციალური დასტური გამოქვეყნდა იმის თაობაზე, რომ „13 ქართველს“ შანსი აქვს, ევროპის ერთა თასის გათამაშებაში გამოვიდეს. სტატიაში ნათქვამია:

ევროპის ლიგის რაგბის ფედერაცია ადასტურებს, რომ სერბეთს, ჰოლანდიასა და საქართველოს ეძლევათ შანსი, მონაწილეობა მიიღონ 2005 წლის ევროპის ერთა თასის გათამაშებაში.

ზემოხსენებული სამი ქვეყანა, რომლებიც ლიგური რაგბის ახალბედა წევრები არიან, ითამაშებენ რამდენიმე მატჩს ერთმანეთში დღეიდან ივლისის ბოლომდე. პირველი მატჩი, რომელსაც ოფიციალურად ენიჭება საკვალიფიკაციო სტატუსი, ჩატარდება პარასკევს ჰოლანდიურ როტერდამში. დანარჩენი შეხვედრების თარიღები ამჟამად დაზუსტების პროცესშია.

ამ თამაშების შემდეგ RLEF შეაფასებს ქვეყანათა სათამაშო დონეს, ფინანსურ და პერსონალურ ინფრასტრუქტურას. მიუხედავად იმისა, რომ RLEF იტოვებს უფლებას, არც ერთ ქვეყანას არ დართოს ნება ერთა თასზე მონაწილეობისა, მაინც იმედოვნებს, რომ ერთ-ერთი მათგანის მომზადების დონე საკმარისი იქნება იმისთვის, რომ პრესტიჟულ ტურნირში სცადოს ბედი.

ერთა თასზე ვაკანტური ადგილეი იმის შემდეგ გაჩნდა, რაც ინგლისელებმა გადაწყვიტეს, არ მიეღოთ მონაწილეობა, ეს კი ნაწილობრივ მათი გადატვირთული გრაფიკით აიხსნება.

ერთა თასის ამჟამინდელი მონაწილეები არიან: საფრანგეთი, რუსეთი, უელსი, შოტლანდია და ირლანდია.

RLEF-ის გადაწყვეტილებას, მიენიჭოს ზემოხსენებულ მატჩებს საკვალიფიკაციო სტატუსი, კომენტარს უკეთებს ევროპის ლიგის რაგბის ფედერაციის მდივანი კევინ რადი:

„თამაშები სერბეთს, ჰოლანდიასა და საქართველოს შორის შესაძლებლობას მოგვცემს, შევაფასოთ ხსენებულ ქვეყნებში სპორტის ამ სახეობის განვითარების პერსპექტიულობა. ეს მატჩები ასევე დაეხმარება ცამეტკაცას, რათა სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მის განვითარებას.

გარდა ამისა, ეს შეხვედრები მნიშვნელოვანია სრულიად ევროპის ლიგის რაგბისთვის, რომელიც უსწრაფესი ტემპით ვითარდება კონტინენტზე“.

**ლადო ჶულუკიძე**

---

ჰოკეი

# ბობი ორი ორივეს შტევს

## ან მორიგდით, ან წადით



ბობი ორი

**ნჰლ-ისა** და მოთამაშეთა ასოციაციის გაჭიანურებულმა კონფლიქტმა უკვე არა მარტო რიგითი ქომაგები, არამედ სპეციალისტები და ჰოკეისთან ასე თუ ისე დაახლოებული ადამიანებიც გაალიზიანა. ამჯერად კანადური ჰოკეის ლეგენდა ბობი ორმაც ვერ შეიკავა ემოციები და საგაზეთო სტატიის მეშვეობით გამოხატა თავისი შეშფოთება. ბოსტონის „იგლტრიბიუნში“ გამოქვეყნებულ წერილში ლიგის ისტორიაში საუკეთესო მცველმა პირდაპირ მოსთხოვა ლიგის და პროფკავშირის ლიდერებს, გერი ბეტმენს და ბობ გუდენაუს, გონს მოვიდნენ და დროულად გადაწყვიტონ შექმნილი პრობლემა.

„ჩვენი სპორტი აშკარად საშიშროების წინაშე დგას და შესაძლოა, მთლად განზე დარჩეს, თუ ორივე მხარე რაც შეიძლება მალე არ დაასრულებს ამ ნონსენსს“ — აი, ასეთი იყო განრისხებული ორის კომენტარი.

ლეგენდარულმა ბოსტონელმა ისიც დასძინა, აღარ მჯერა, რომ რომელიმე მხარე დაინტერესებულია კონფლიქტის მოგვარებით, ამიტომაც გუნდების მფლობელებმა, და მოთამაშეებმა კატეგორიულად უნდა მოსთხოვონ ჩინოვნიკებს უმალ განაახლონ მოლაპარაკება და იქამდე შეხვდნენ ერთმანეთს, სანამ გამოსავალს არ მოძებნიან. თუ პრობლემა არ გადაიჭრება, ბეტმენმა და გუდენაუმ პოსტები უნდა დატოვონო.

იმედია, ესოდენ გავლენიანი ადამიანის კატეგორიული მოთხოვნა რაიმე დადებით შედეგს გამოიღებს, მით უმეტეს, რომ ჩრდილო-ამერიკის ჰოკეიში ლეგენდების აზრს ყოველთვის დიდი მოწიწებით ეპყრობიან. ვითარება ხომ დღითი დღე სულ უფრო არასასიამოვნო ხდება და ზედიზედ მეორე სეზონის ჩავარდნას ლიგა ალბათ ვეღარ გადაიტანს.

**სამველ ღარიბიანი**

---

კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი



მურმან ფოლადიშვილის ფოტო

ნიკა ვეფხვაძე (№9) თსუ-ში ერთ-ერთი საუკეთესო იყო

# პლეი ოფი

## თსუ-მ ფეხი ნახევარფინალში გაყო

28 აპრილი. ვერის ბალი

სტუ 1
ბურჯი 0

**სტუ 114:51 ბურჯი**
31:12 20:15 33:12 30:12

**სტუ:** დ. ბერიშვილი (16), გოგობერიშვილი (17), მარკოიშვილი (26), კეიდია (2), შანიძე (18); კოხრეიძე (12), დევიძე (8), მიქაძე (7), მათიაშვილი (8)
**ბურჯი:** აკოლაშვილი (11), ცერცვაძე (4), ქისტაური (2), ნინუა (18), დოლმაზაშვილი (2); ანთელავა (2), პაპუნაშვილი (2), ს. შერმადინი, იაგორაშვილი, ჭუაძე
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, მალხაზ ანდღულაძე
**კომისარი:** როლანდ გელოვანი

თსუ 1
თუჯი 0

**თსუ 80:70 თუჯი**
18:16 23:20 16:15 23:19

**თსუ:** ვეფხვაძე (17), ი. მაისურაძე (19), ფანჩულიძე (19), მ. ბერიშვილი (10), სანიკიძე (6); ბერაია (12), მარხვაშვილი (4), ბარქარძე (2), კოკოლიშვილი (1)
**თუჯი:** არწივიძე (6), ჩაჩუა (15), ლიპარტელიანი (7), ტყეშელაშვილი (9), დანელიანი (10); მურჯიკნელი (8), ჭოჭუა (9), ცეკვავა (6), ტაბატაძე
**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

დინამო 1
მაკაბი 0

**დინამო 97:64 მაკაბი**
20:13 15:15 37:14 15:22

**დინამო:** ბექაური (4), გამყრელიძე (9), ვ. მაისურაძე (7), ხეცურიანი (15), ბ. ბერიშვილი (24), კვიმსაძე (15), კილაძე, ლოსაბერიძე (9), კოლუაშვილი, სუხიშვილი (3), ჩხატარაშვილი (7), ლაფანაშვილი (4)
**მაკაბი:** ბადრიძე (12), გ. შერმადინი (11), გვარამაძე (2), ფიცხელაური (8), ვაშაკიძე (27), კორკოტაძე (1), მერებაშვილი (3)
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა

ავიამშენი 1
სსუ 0

**ავიამშენი 95:60 სსუ**
25:15 15:22 30:9 25:14

**ავიამშენი:** თორთლაძე (11), ნიკოლაძე (19), ხოშტარია (9), შენგელია (13), წოწელია (7), ნინიაშვილი (16), ორმოცაძე (2), ბოლქვაძე (9), ბერძენიშვილი (7), აბრამიძე (2), ბ. ნოზაძე
**სსუ:** საყვარელიძე (5), იმედაშვილი, პატარაია, ცხაკაია, გასიტაშვილი (2), მ. ხოშტარია (6), ჭოველიძე (5), ქვილითაია (8), ურიდია (10), ლ. ნოზაძე (10), მეტრეველი (13), ონიკაშვილი (1)
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** მურმან ქურიძე

**ირაკლი პერტაია**

**ზოგადად** პლეი ოფი დაძაბულობას, სიმძაფრეს, ზღვა გულშემატკივარს და შესაბამისად ზეიმს ნიშნავს, მაგრამ ჩვენთან ყველაფერი პირიქითაა. გუშინ ეროვნული ჩემპიონატის გადამწყვეტი ფაზა, პლეი ოფი დაიწყო, მაგრამ ვერც. მოედანზე მიმდინარე ამბები და ვერც დარბაზში შექმნილი ატმოსფერო ვერ გაფიქრებინებდა, რომ ამ მატჩებს მეტი ფასი ედო, ვიდრე უბრალო, რეგულარული ჩემპიონატის რიგით ტურებს.

არც მოედანზე იყო სიმძაფრე და არც ტრიბუნაზე გულშემატკივარი. „სტუ-ჯეოსელის“ ფანკლუბი მეოთხედფინალის ხათრით დარბაზში კი მოსულიყო, მაგრამ ტექნიკოსებს ისეთი ბეჩავი მეტოქე ჰყავდათ, ქომაგობის იშტა წართმეოდათ. „ყვითელლენტიანები“ კი ამხნევებდნენ სტუდენტებს, მაგრამ თელაველები ისე უიმედოდ გამოიყურებოდნენ, ფანებს სკანდირების სურვილი უქრებოდათ.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, სტუ — „ბურჯზე“ სალაპარაკო არც არაფერია. ამაზე კი არა, არც გუშინ გამართულ სხვა შეხვედრებზე ღირს ყურადღების შეჩერება, ისეთი დიდი იყო მოწინააღმდეგე გუნდებს შორის კლასში სხვაობა. ერთადერთი თსუ — „თუჯი“ გამოდგა საინტერესო და ჩვენც ამ მატჩს შევხედოთ გამადიდებელი შუშით.

როგორც მოსალოდნელი იყო, თსუ-სა და „თუჯს“ შორის გვარიანი ბრძოლა გაჩაღდა. ამ გუნდებმა ცხრილში გვერდიგვერდ გაასრულეს რეგულარული ჩემპიონატი, რომელშიც ერთმანეთი საკუთარ მოედანზე ორ-ორჯერ დაამარცხეს. ეს ტრადიცია პლეი ოფშიც გაგრძელდა — მასპინძელმა თსუ-მ ვერის ბაღში ათი ქულით დაამარცხა რუსთაველი გუნდი და ახლა ნახევარფინალში გასასვლელად ერთი გამარჯვებაღა აკლია.

რუსთავში მოგება სტუდენტებს ძალიან გაუჭირდებათ, რადგან „თუჯი“ ხელწამოსაკრავი გუნდი არაა, რაც გუშინაც გამოჩნდა და საკუთარ ქალაქში, ალბათ, მეტ პრობლემებს შეუქმნის სტუდენტებს.

გუშინ დაძაბულობა იმან გამოიწვია, რომ მეტოქეები ფეხდაფეხ მისდევდნენ ერთმანეთს, თორემ ისე ბევრიც ვერაფერი ჯახი იყო. სტუდენტები თითქმის მეორე შემადგენლობით გამოვიდნენ მოედანზე. გამოცდილთაგან მხოლოდ ნიკა ვეფხვაძემ და ირაკლი მაისურაძემ დაიწყო, ნუგზარ კოკოლიშვილი და ირაკლი ბაქრაძე კი თადარიგში იყვნენ.

ამან ის შედეგი მოიტანა, რომ რუსთაველებმა 5:0-ით დაიწყეს თამაში, მაგრამ შემდეგ სტუდენტებმაც მომართეს მიზანი და 9 უპასუხო ქულა მიითვალეს. გავიდა წამები და ლევან ჩაჩუამ სამქულიანი მოინადირა, რითაც „თუჯი“ მეტოქეს 1 ქულით მიაახლოვა და დაიწყო... რა დაიწყო? თანაბარი თამაში.

ორივე გუნდი ხან ზუსტად ესროდა, ზოგჯერ მიზანი უმრუდდებოდა და საერთო ჯამში სოლიდური უპირატესობის მოპოვება ერთმაც ვერ მოახერხა. ერთი გუნდი რომ გალიდერდებოდა, მეორე გადაასწრებდა და ასე მორიგეობით.

მოედანზე რამე რომ შეეცვალათ, საწყისი მეოთხედის მიწურულს მწვრთნელებმა თამაშში სამარქაფოები ჩართეს. რუსთაველთაგან გიორგი ცეკვავა და დავით მურჯიკნელი გამოვიდნენ მოედანზე, სტუდენტთა ფარი კი ნუგზარ კოკოლიშვილმა გაამაგრა, რომელსაც ირაკლი ბაქრაძეც აშველებდა ხელს. ამის მიუხედავად, მეტოქეებმა მაინც ვერ გატეხეს ერთმანეთი და პირველ შესვენებაზე ანგარიშში მინიმალური სხვაობით გავიდნენ — 18:16 თსუ-ს სასარგებლოდ.

მეორე მეოთხედის საწყისი 9 წუთიც ძველებურად წარიმართა და ბოლო ათ წამში მიღებული 3 ქულით სტუდენტები დიდ შესვენებაზე 41:36 ლიდერობით გავიდნენ.

აი, მესამე მეოთხედი კი გადამწყვეტი აღმოჩნდა, თუმცა მის დასაწყისში იფიქრებდით, რუსთაველებმა თამაში შემოატრიალესო. დავით არწივიძის ორმა სამქულიანმა „თუჯი“ მასპინძლებს ორი ქულით მიაახლოვა, თუმცა ეს იყო და ეს — თბილისელებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს მომდევნო ხუთწუთეული და მესამე მეოთხედის შუაწელში 15-ქულიანი უპირატესობა დაიბევეს — 57:42

ეს საბედისწერო ლახვარი აღმოჩნდა რუსთაველთათვის. ოთარ ხმელიძის გუნდმა თსუ-ს საიდან არ შემოუარა, რა არ იღონა და რას არა ეცადა, მაგრამ სხვაობის 4 ქულაზე ნაკლებით შემცირება ვერ მოახერხა. თსუ მწყობრად იდგა დაცვაში და კონტრშეტევებით მოხვეჭილი ქულებით მოპოვებულ უპირატესობას შეძლებისდაგვარად ინარჩუნებდა.

ბოლო წუთების გმირი ირაკლი მაისურაძე გახლდათ, რომელმაც რამდენიმე საჭირო ჩაჭრა გაახერხა და რუსთაველთა იმედები საბოლოოდ დაასამარა.

საპასუხო მატჩი ხვალ გაიმართება რუსთავში და ეს სერიაა მხოლოდ, რომელშიც მესამე, გადამწყვეტ შეხვედრას უნდა ველოდოთ. აბა, „დინამო“, „ავიამშენი“ და „სტუ-ჯეოსელი“ ერთხელაც დაამარცხებენ სუსტ მეტოქეებს და თავს ნახევარფინალში დაიგულებენ.

გუშინდელი დღის ერთი გამორჩეული ამბავიც: ორიოდ თვის წინათ ნაავარიევი და კომაში ჩავარდნილი არბიტრი ზაზა მაჩალაძე მოედანს დაუბრუნდა. მან „ავიამშენი“ — სსუ იმსაჯა და მშვენიერადაც.

# NBA PLAY OFF 2005

# ჰაინრიხმა ვაშინგტონს ჩაურიხინა




კირკ ჰაინრიხმა „ჩიკაგოს" 34 ქულა მოუხვეჭა

27 აპრილი

## აღმოსავლეთი

### ჩიკაგო 2:0 ვაშინგტონი

**ჩიკაგო 113:103 ვაშინგტონი**

**ჩიკაგო.** დუჰონი (5), ჰაინრიხი (34), ნოჩიონი (10), დევისი (8), ჰარინგტონი (8); გორდონი (14), პარგო (8), პიატკოვსკი (6), გრიფინი (6), ჩანდლერი (4), რეინერი

**ვაშინგტონი.** ჰიუზი (19 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი, 5 ჩაჭრა), არენასი (39), ჯემისონი (18), ჯეფრისი (3), ჰეივუდი (6); დიქსონი (12), ტომასი (4), ბრაუნი (2), პალერი, რუფინი

„ჩიკაგო ბულზმა" შინაურ „იუნაიტედ სენტერში" მეორედაც დაჰკა „ვაშინგტონ ვიზარდსი" და დედაქალაქში მშვენიერი განწყობით წავა. მეორე შეხვედრას პირველისგან განსხვავებული გმირი ჰყავს და საერთოდ, ახალგაზრდა და ალღოიანი „ჩიკაგოს" იმდენი კარგი ბაჟე მოთამაშე ჰყავს სასტარტოში და ვინდაც სათადარიგოებში, რომ სხვა გუნდებივით ერთ-ხამ ვარსკვლავზე ჩამოკიდებული სულაც არ გახლავთ და თავისთავად ესეც ურთულესს „ხარების" მეტოქეებს მათ ბანაკი რაქების აოადგენას.

პირველ მატჩში „ვაშინგტონის" 30 ქულით დასტყვა ახალბედა ბენ გორდონმა, ახლა მეორეწლიანმა თავრიმა „ვაშინგტონელმა" კირკ ჰაინრიხმა ალეუსა რეკბი და თვისობაზეებს 34 ქულა „აურქინა", „ჩიკაგომაც" მეორე თამაჯერებელი გამარჯვება ჩაიწერა.

არადა, შეხვედრა „ხარებისთვის" არცთუ ფეხბედნიერად დაიწყო. პირველივე მეოთხედში მაიზე ჯაქური მასეელის ვაშინგტონელებმა თითქოს მოურდაულს დაცვა. პირველ მატჩში თავშეკავებულმა ჯილბერტ არენასმა საწყის 12-წუთეულში 9 ქულა გააკეთა და „ჯადოქრებმაც" 29:19 დაასწინაურა. თანაც გაავებულ არენასის საწინ ზემოხსენებული ჰაინრიხი შეურეელბა და ორ წუთში ორი ჯარიმის ეკიდებას, ბურთის დაკარგვისა და ოთჯეროვ გაცილებული ტყორცნის გამო მწვრთნელმა სკოტ სკაილზმა მოედნიდანაც კი გაიხმო — აქეჯი ცოტა ხანს და არაზე მოდით.

ჰაინრიხი დროულად მოვიდა გონს, მეორე მეოთხედში თამაშში დაბრუნდა და ეს პერიოდი 38:21 მოაგებინა თავისიანებს. „ჩიკაგოს" მერე აღარ გასჭირვებია, მით უმეტეს, ბოლო მეოთხედში, როცა კირკმა არც მეტი, არც ნაკლები — 21 ქულა გააკეთა და არენასსა და მის თანამემწევენ შრომა წყალში გადაუყარა.

## დასავლეთი

### ფინიქსი 2:0 მემფისი

**ფინიქსი 108:103 მემფისი**

**ფინიქსი:** ნეში (12 ქულა, 15 პასი), ჯონსონი (20), რიჩარდსონი (15), მარიონი (22 ქულა, 13 მოხსნა), სტუდემაიერი (34 ქულა, 10 მოხსნა); ჰანტერი (5), ჯექსონი, ბარბოსა

**მემფისი:** უილიამსი (21), მილერი (3), ბეტიე (9), გასოლი (28 ქულა, 16 მოხსნა), რაიტი (12), კარდინალი (13), პოუზი (9), ჯონსი (8), უოტსონი

ლიგის ყველაზე მჩქეფარე გუნდ „ფინიქსს" ამჯერად მეტი წინააღმდეგობა შეხვდა „მემფისისგან". მემფისელმა „გრიზლებმა" ბრძოლები გამართეს და ისე იბურთავეს, ფინიქსელები წარამარა მსაჯებთან ჩიოდნენ, ვერა ხედავთ, ლამისაა, დაგვლეწონო. 17-ჯერ დაჯარიმდნენ ფინიქსელები მეტოქეებზე, 28-ჯერ პირიქით მოხდა. სამაგიეროდ, თამაშიც სანახაობრივი გამოდგა და ბოლომდეც შეინარჩუნა ინტრიგა.

საპლეიოფო კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა „გრიზლიზის" ცანცარა გამთამაშებელმა ჯეისონ უილიამსმა და 21 ქულაც მიითვალა, თუმც აქედან 14 ქულა პირველ მეოთხედში გააკეთა, მერე კი შედარებით ინერტულად გამოიყურებოდა. ინერტული და დაბნეული თუ ვინმეზე ითქმოდა, ეს მემფისელი სნაიპერ მაიკ მილერი გახლდათ — თითქმის მთელი თამაში ტყუილად იბინა ორფარშუა და ერთადერთი ბურთი, სამქულიანი, მატჩის დამთავრებამდე 10 წამით ადრე ჩააგდო, რითაც „გრიზლიზი" 103:104 წამოეწია „სანზს". ის 10 წამი ბარე ორ წუთს გაიწელა. მილერმა უკვე 106:103 ანგარიშზეც სცადა შორეული ტყორცნის ჩაგდება, თუმც ხელი მოეცარა და თავისიანებს მატჩის ხსნის შანსი დაუკარგა. არადა, შეხვედრის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე „მემფისი" 99:94 იგებდა და ორწუთიან მონაკვეთში 0:9 რომ არ ჩაფლავებულიყო, სენსაციასაც გამოაცხობდა და შინაც მომდევნო ორი თამაშისთვის მშვენიერ განწყობას შეიმარაგებდა.

### სან ანტონიო 1:1 დენვერი

**სან ანტონიო 104:76 დენვერი**

**სან ანტონიო:** პარკერი (19), ბერი (16), ბოუენი (3), დანკანი (24), მუჰამედი (4); ჯინობილი (17), უდრიჰი (10), რობინსონი (7), ბრაუნი (3), ჰორი (1), ნესტეროვიჩი, მასენბურგი

**დენვერი:** მილერი (11), ჯონსონი (12), ენტონი (10), მარტინი (9), კემბი (9 ქულა, 12 მოხსნა); პერსონი (9), ბოიკინსი (8), ნენე (6), ბაკნერი (4), ელსონი, რასელი, ნახერა

მოვება ასე არ უნდაო და, სერიის პირველ შეხვედრაში შინ ძლეულმა „სან ანტონიო სფურზმა" კარგი ჭკუისსასწავლებელი გაკვეთილი ჩაუტარა „დენვერ ნაგიტსს", რომელმაც იმდენი ითავხედა, საჩემპიონო გაქანების ტეხასელებს სამი დღის წინ მარცხი შეჰკადრა.

მასპინძლებმა თავიდანვე დაიკაპიწეს ხელები. მათმა ფრანგმა გამთამაშებელმა ტონი პარკერმა პირველ მეოთხედში 12 ქულა მოიწერა და ეს პერიოდი 29:18 მოაგებინა თავისიანებს, შემდეგ კი ტიმ დანკანიც აბურთავდა და „სან ანტონიო" უკვე მეორე მეოთხედში დაწინაურდა 21 ქულით, ტაიმში კი 63:32 იძალა. დენვერელები ნაღდად არ ჩანდნენ ამხელა გარღვევის შემვსებნი, გააფთრებულ მეტოქეს თავი აღარ შეაკლეს და საბოლოოდ 28 ქულითაც განადგურდნენ.

აღსანიშნავია, რომ „სფურზის" თავკაცმა გრეგ პოპოვიჩმა სასტარტო ხუთეულში ოლსტარელ მანუ ჯინობილის ლამის მივიწყებული ბრენტ ბერი ჩაანაცვლა და ამით ბევრიც მოიგო — ბერიმ ოთხი ტყორცნიდან ოთხი სამქულიანი ჩააგდო და 16 ქულა გაახერხა, ხოლო ჯინობილი შეცვლაზე შემოსულიც ისევე არბევდა მეტოქეს, როგორც წინა, ოღონდ წაგებულ შეხვედრაში დამწყების რანგში.

**კოტე ყორშია**



სანანტონიოელმა მანუ ჯინობილიმ „დენვერს" გადაუფრინა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ წივიან 15 წლის გოგონები?

**შარშან,** ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ჯასტინ გატლინმა მედლების მთელი კომპლექტი მოიპოვა: 100 მეტრზე რბენაში ოქრო, 4X100 მეტრზე ესტაფეტაში ვერცხლი, ხოლო 200 მეტრზე რბენაში ბრინჯაო, მაგრამ, როგორც ირკვევა, მიღწეულით არ კმაყოფილდება და ამბობს, რაც 2004-ში ნახეთ, აისბერგის წვერი იყო, ძირითად ნაწილთან შეხვედრის სიამოვნება კი წინ გველით: ერთი სიტყვით, გატლინი წლეულს, ჰელსინკიში დანიშნულ ევროპის ჩემპიონატზე სულ მცირე ოთხჯერ გამარჯვებას აპირებს.

ჯასტინ გატლინი 23 წლის ამერიკელია და ნამდვილ მძლეოსნებზე თავისი შეხედულება აქვს.

„სულ მცირე ორ გარბენში თუ ვერ გავიმარჯვე, რადა მძლეოსანი ვიქნები" — ამბობს ის და, როგორც ირკვევა, ძალიან კარგად უწყის, თუ რა პასუხისმგებლობა სდევს მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანის სახელს.

„როგორ არა, მშვენივრად ვიცი, რომ რაკილა ტელევიზორში ჩნდები, ესე იგი ჩემს ქცევას მაგალითი ჰქვია. ეს ჩემი საქმიანობის შემადგენელი ნაწილია და მეც ძალიან მომწონს, რომ ასე მძლეოსნობის პროპაგანდას ვეწევი" — განაცხადა მან ჟურნალისტებთან საუბრისას.

აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მძლეოსნისთვის სელებრითობა და საგანგებო პოპულარობის მოპოვება ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ გატლინი არაფერს ეპუება და სწორედ ამას უმიზნებს. და მართლაც, ათენის ოლიმპიადის შემდეგ ამერიკის ტელეარხები მას საგანგებო ყურადღებას აქცევენ. მისი სახე ხშირად ტრიალებს ეკრანზე, სატელევიზიო შოუებში, იგი მონაწილეობდა „ემმი" დაჯილდოების ცერემონიალში, გასული წლის ბოლოს მერის გრინთან, ლორინ უილიამსთან და ელისონ ფელიქსთან ერთად სტუმრად გახლდათ ამერიკის ყველაზე მაღალრეიტინგიან შოუში The Apprentice, სადაც, თუ მას დავუჯერებთ, თვით მილიარდელთა შორის გამორჩეული, დონალდ ტრამპი იყო და მათ გამოსვლას უცქეროდა.

„დანამდვილებით ვგრძნობდი, რომ ოლიმპიადის შემდეგ არა მხოლოდ მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი, არამედ სელებრითიც გავხდი. ამას წინათ, ნიუ იორკის „იანკის სტადიუმის" გახსნაზე დაახლოებით ორმოცდაათმა კაცმა მომამწყვდია და ფაქტობრივად გამიტაცა. თავი ნამდვილი პოპ ვარსკვლავი მეგონა. ერთხელ თინეიჯერი გოგონების წივილის შემყურემ ვიფიქრე საკუთარი ჯგუფი რომ ჩამოვაყალიბო, 15 წლის გოგონებში პოპულარობა გარანტირებული მექნება-მეთქი." — თქვა გატლინმა.

2005 წლის სეზონს კი იგი შაბათს, „პენ რილეიზით" იწყებს და ამბობს, რომ ეს შეჯიბრება NBA-ს „ოლ სტარის" ტოლფასია.

შემდეგ კი იქნება ჰელსინკი.

„რვა წლიდან ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ვოცნებობდი და შარშან, ოცნების ახდენის შემდეგ, გარკვეული გადაღლაც ვიგრძენი, მაგრამ ცოცხალი თავით არ მინდა სამუდამოდ 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონად დავრჩე. ახლა მედლების მოპოვება კიდევ უფრო მწყურია, ვიდრე მაშინ."

აი, ასეთია ჯასტინ გატლინი

**ტუტა სიხარულიძე**

# ჯგუფური სიხარული
## მიზნამდე ერთი ჩოგნის გაწვდენადაა

**საქართველოს** ქალ ჩოგბურთელთა ნაკრები თურქეთში ფედერაციის თასის მეორე ევროაფრიკულ ჯგუფში თამაშობს და საკმაოდ კარგადაც. კურორტ ანთალიას საჩოგბურთო კლუბ ალი ბეი მანავგატის კორტებზე ლალი ზერეკიძის გუნდმა გუშინ და გუშინწინ ორჯერ იმარჯვა და სამომავლწლოდ მინიმუმ მეორე ჯგუფში დარჩენა გაინაღდა.

სულ ამ ჯგუფში რვა ქვეყნის ნაკრებია, რომლებიც ოთხ-ოთხად დაყვეს. ჯგუფური ტურნირის ჩამთავრების შემდეგ პირველ-მეორე ადგილზე გასულები პირველ ჯგუფში გადასასვლელად ნახევარფინალურ წყვილებს შეადგენენ და ორ საუკეთესოს გამოავლენენ, ხოლო მესამე-მეოთხე ადგილოსნები ერთმანეთს მეორე ჯგუფში დასარჩენად ეთამაშებიან.

ქართველი გოგონები B ქვეჯგუფში მოხვდნენ ლატვიას, ირლანდიასა და ნორვეგიასთან ერთად და პირველ ადგილზე გასვლა ფაქტობრივად განაღდებულიც აქვთ. დღევანდელი მეტოქე ნორვეგია ქართველთაგან ამ დღეებში ძლეულ ლატვიასა და ირლანდიაზე სუსტია და აქამდეც ჯერ არც ერთი გამარჯვება არ მოუპოვებია.

ახლა კი ჩვენი ნაკრების თამაშებზე უფრო დაწვრილებით. პირველ დღეს ზერეკიძის გუნდმა ლატვიას აჯობა, თან ისე, რომ სამ შეხვედრაში ერთი სეტიც არ დაუთმია. ნაკრების ლიდერმა მაკა ჩახნაშვილმა შარშანდელ თბილისის ტურნირზე ნაყოჩაღარ ირინა კუზმინას 6:2, 6:1 აჯობა. თინათინ ყავლაშვილმაც ასეთივე ანგარიშით მოუგო ანასტასია სევასტოვას. ყავლაშვილისა და თათია მიქაძის დუეტმა კი კუზმინა — ალისა ვაიდერის წყვილი დაჩაგრა 6:0, 6:4.

წინასწარი გათვლით, ყველაზე მძიმე ბრძოლა ირლანდიასთან იყო მოსალოდნელი. ამ ნაკრებს ანე მალი ლიდერობს, რომელიც დიდ ჩოგბურთში ვერა, მაგრამ ასეთ დონეზე საკმაო ძალაა. მალი 31 წლისაა და ჩვენებურთა პირველ ნომერსაც ლამის ასი ადგილით უსწრებს კლასიფიკაციაში, თუმც გუშინ უფრო ძლიერი ჩახნაშვილი აღმოჩნდა. მაკამ საქმე ორ სეტში მოამთავრა და ჯამში მეტოქეს მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო — 6:4, 6:1. ეს ქულა გადამწყვეტი იყო, რადგან მანამდე ყავლაშვილმა მოასწრო მეორე ირლანდიელის, რაჩელ დილონის ძლევა — 6:4, 6:1. წყვილებშიც ქართველებმა იმარჯვეს.



მაკა ჩახნაშვილი




თინათინ ყავლაშვილი

ლატვიამ და ირლანდიამ ნორვეგიას ერთნაირი ანგარიშით 3:0 მოუგეს და მეორე ადგილისთვის დღეს ერთმანეთს ეჯიბრებიან.

A ქვეჯგუფიდან ნახევარფინალთან ყველაზე ახლოს ორი ტურის შემდეგ რუმინეთია. მას ორიდან ორი მოგება აქვს. თუმც ლიტვა და ფინეთი თითო გამარჯვებით ჩამორჩებიან და იქნებ ისეც მოხდეს, პირველი-მეორე მათვე გაინაწილონ. ტუნისი კი ნორვეგიასთან ერთად მესამე ევროაფრიკულ ჯგუფში დაქვეითების სერიოზული კანდიდატია.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### ფედერაციის თასი

ევრო-აფრიკა. II ჯგუფი
ანთალია, თურქეთი

**A ქვეჯგუფი**

27 აპრილი
**რუმინეთი 3:0 ტუნისი**
**ფინეთი 2:1 ლიტვა**

28 აპრილი
**რუმინეთი 2:1 ფინეთი**
**ლიტვა 3:0 ტუნისი**

დღეს
**რუმინეთი — ლიტვა**
**ფინეთი — ტუნისი**

**B ქვეჯგუფი**

27 აპრილი
**საქართველო 3:0 ლატვია**
თინათინ ყავლაშვილი
ანასტასია სევასტოვა 6:2, 6:1
მაკა ჩახნაშვილი
ირინა კუზმინა 6:2, 6:1
ყავლაშვილი თათია მიქაძე
კუზმინა ალისა ვაიდერი 6:0, 6:4
**ირლანდია 3:0 ნორვეგია**

28 აპრილი
**საქართველო 3:0 ირლანდია**
ყავლაშვილი
რეიჩელ დილონი 6:4, 6:1
ჩახნაშვილი
ანე მალი 6:4, 6:1
ყავლაშვილი მიქაძე
მალი დილონი 6:3, 6:4
**ლატვია 3:0 ნორვეგია**

დღეს
**საქართველო — ნორვეგია**
**ირლანდია — ლატვია**

# კიმ კი ისევ ზემოთ მიიწევს




გასტონ გაუდიო

### ესტორილის ღია პირველობა თიხნარი. საპრიზო 510 ათასი ევრო

**პირველი წრე**

**ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (5, ჩილე) 3:6 6:3 6:3

**მეორე წრე**

**გასტონ გაუდიო** (2, არგენტინა) — მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) 6:2 6:1; **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) — იოაკიმ იოჰანსონი (3, შვედეთი) 6:2 6:4; **ფელისიანო ლოპესი** (8, ესპანეთი) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 7:6 (7:5) 4:6 6:4; **ხუან ანტონიო მარინი** (კოსტა რიკა ) — აგუსტინ კალიერი (არგენტინა) 6:4 3:1 *კალიერიმ შეწყვიტა*

**მეორე** წრეში გასაღწევად როლანგაროსობის ოდინდელ ჩემპიონ ალბერტ კოსტას შარშანდელი ოლიმპიადის გამარჯვებულ ნიკოლას მასუსთან ორდღიანი კეჭნაობა მოუხდა. სანამ პირველ დღეს კორტზე ჩამოუბნელდებოდათ, მეტოქეთაგან უფრო რიგიანად მასუ გაირჯა, მეორე დღეს კი კარგად მოსვენებულმა კოსტამ მატჩის სადავეები უკუიპყრა და ბედისგან ბოძებული გამარჯვება კაცურად შეირგო.

კოსტასგან განსხვავებით გაცილებით იოლი გამარჯვება მოიპოვა როლანგაროსობის შარშანდელმა ჩემპიონმა გასტონ გაუდიომ, ვინაც თავისზე 91 სარეიტინგსიო ადგილით დაბლამდგომ ჩეხ ტაბარას მხოლოდ სამი გეიმი მოაგებინა.

ოტებულ იქნა მესამე ნომრად განთესილი ზორბა შვედი იოაკიმ იოჰანსონი. ადელაიდურისა და მარსელურის შემდეგ თავის მესამე საამსეზონო ტიტულზე მონადირე შვედმა ვერაფერი გააწყო უსახელო ესპანელ გარსია-ლოპესის წინააღმდეგ, რაიც არცაა გასაკვირი, რაკილა უზორბესი იოჰანსონისთვის თიხნარი ზედმეტად ნელი საფარია, მაშინ როცა ესპანელები იქ თავს ისე გრძნობენ, როგორც არაყი ლუდში.

### J * S CUP
### ვარშავა. თიხნარი. საპრიზო 585 ათასი "

**მეორე წრე**

**სვეტლანა კუზნეცოვა** (2, რუსეთი) — ანა სმაშნოვა (ისრაელი) 6:2 4:6 6:0; **ელენა ბოვინა** (5, რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 6:4 4:6 6:3; **სილვია ფარინა ელია** (8, იტალია) — სუზანა ონდრაშკოვა (ჩეხეთი) 6:1 6:2; **კიმ კლაისტერსი** (ბელგია) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:2 6:1

**ნორჩი** მაშა კირილენკოს ძლევით ხანგრძლივი უქმობის შემდეგ კორტზე ამ ორი თვის წინ მობრუნებულმა კიმ კლაისტერსმა თავისი ზედიზედ მე-16 გამარჯვება მიითვალა. ფუმფულა კიმი თავის მხოლოდ მეოთხე საამსეზონო ტურნირზე გამოდის და, შეგახსენებთ, რომ მის აქტივში უკვე ორ უბობოლეს ტურნირზე — ინდიანუელსსა და მაიამიში მოხვეჭილი ტიტულები ირიცხება.




კიმ კლაისტერსი

# მოსკოვის წყალში

ამომხტარი იტალიელი სირინოზები, ფეხაქნეული ესპანელი ქალთევზები და ერთმანეთზე გადაწნული რუსის რუსალკები. ეს ყოველივე იმას ნიშნავს, რომ მოსკოვში სინქრონული ცურვის ევროპის თასი მიმდინარეობს და მედალთა განაწილებაც ჩვენი ჩამონათვალის პირუკუღმა გამოვიდა.



AFP მოსკოვიდან





# ტაიტური ტალღა

ტაიპუპოს ნაპირის ახლო ტაიტური სერფინგის სეზონი გახურებულა. პაყაყლ კალანი ჩემპენს ჯერჯერობით ყველასთვის უჯობნია. აწი კი ვნახოთ. ნეტა იმას, ვინც ახლა ოკეანეთის კუნძულზეა.





AFP შანხაიდან

# მოტო შანხაურად

მოტოვარსკვლავი ვალენტინო როსი მისეულ ჩინელ ფანებს უმკლავდება, ეს პირველადაა, რომ ჩინეთში, კერძოდ კი, ცხადია, შანხაიში, „მოტო-ჯიპი" ტური ჩატარდება. როსი კი იმედოვნებს, რომ საერთო ცხრილში ალექს ბაროშს გადაუსწრებს.


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, კახა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კლდიაშვილი, თამარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიტლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია მესხელია, ხათუნა მუზრუნიშვილი, ელენე ბელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge